



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №3. მარტი. 2014.

შიღნუღლი ნაჩშაცუბუბი და დასახუღლი გუგშუბი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო სემესტრი დაიწყო. იგი მას მთელი რიგი სიახლეებითა და ახალი მიღწევებით შეხვდა. სწორედ სიახლეებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოზა ბაპურიძე ესაუბრება:

ჩვენ წარმატებით დავასრულეთ გაზაფხულის მობილობის პროცესი, რის დასტურიც გახლავთ ის, რომ უნივერსიტეტის სასარგებლოდ არჩევანი ასეულობით სტუდენტმა გააკეთა. დადებითად გადაწყდა ჩვენ მიერ გაკეთებული ავტორიზაციის განაცხადი, რომლის საფუძველზეც სტუდენტთა კონტინგენტი შვიდი ათასამდე გაგვეზარდა, რაც კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვა-

კისრებს მომავალი კვალიფიცირებული თაობის აღზრდის საქმეში. უკვე წლებია უნივერსიტეტმა ტრადიციად აქცია ღია კარის დღეების გამართვა, რაც ხელს უწყობს აბიტურიენტთა მოზიდვასა და უნივერსიტეტის პოპულარიზაციას. წლებანდელი წელიც არ გახლდათ გამონაკლისი. უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩვენმა პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გასვლენები განახორციელეს როგორც აჭარის, ასევე მეზობელი რეგიონების საშუალო სკოლებში, სადაც გააკეთეს პრეზენტაციები და დაარიგეს სარეკლამო პროდუქცია. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები საგანმანათლებლო რესურს ცენტრები, რისთვისაც მინდა მათ საჯაროდ მადლობა გადავუხადო. ღია კარის დღეების დასკვნითი ღონისძიება გაიმართა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში, რომლის ორგანიზებაშიც მხარი დაგვიჭირეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, თავად მინისტრმა და მთავრობის წევრებმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ცეკვისა და სიმღერის კოლექტივები, ჩვენი წარმატებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები. როდესაც უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე ვსაუბრობთ, უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ჩვენ მესამე წელია აქტიურად ვართ ჩართულნი განათლების საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც ყოველწლიურად თბილისში იმართება. მასში ქართულ უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად უცხოური საგანმანათლებლო ცენტრები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მონაწილეობენ. ჩვენი პავილიონი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, მრავალი სტუმრის მასპინძელია, რასაც შედეგად გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები და უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა მოსდევს. უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს მისი ინტერნაციონალიზაცია. ამ მიმართულებით ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით და ევროკომისიის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფინანსებული საერთაშორისო გაცვლითი პროექტებისა და პროგრამების მიხედვით (Tempus, Erasmus mundus) საქართველოს უნივერსიტეტებს შორის მესამე ადგილზეა. ეს ნამდვილად საამაყო ფაქტია, რადგან ამ პროექტებში მონაწილეობა, სტუ-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)



სიმღერა ტრუსთაველის უნივერსიტეტი

რუსთაველის მადლი გამკობს,
რუსთაველის ხიბლით თბები,
შენი სუნთქვით ვიკვებები,
შენს ემბაზში ვინათლები,
მენატრება შენთან ყოფნის წუთები...

დღეს სულ სხვაა ბათუმიც
და ზღვისპირიც,
ახალს ვეჭრებით,
განა წარსულის მიგტრით,
მოღით, ნახეთ, რის დარია,
მშვენილება და მიხარია,
ბათუმია საქართველოს ქვეთკირი.

სულის სწყურია სილალე და ალერსი,
მზე ჩაუწნავთ გოგო-ბიჭებს თვალბში,
მოფარვატე თოლიებო,
ქათქათა მაგნოლიებო,
მინდა თქვენი მოფერება ამ ლექსით.

„კვლავ გიძლიერი უფლის
მადლით დალოცვილს,
შენს ბუნებას ველარაფინ გამოცვილს,
სულის მიმშვენიებ კვლავტრებით,
მიყვარხარ და მენატრები,
ტაძარი ხარ მუდამ ჩემი სალოცა.
დავით თედორაძე



(დასაწყისი პირველ გვერდზე)

შილნიული წარმაცვებები და დასახული გეგმები

დენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა კიდევ უფრო ასწევს სწავლებისა და სწავლის ხარისხს, რაც უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ზრდის პირდაპირპროპორციულია.

სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ ჩვენი აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში. ნელსაც სამა პროექტმა გაიმარჯვა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. მაგრამ არის პროექტები, რომლებმაც მაღალი შეფასებები მიიღო, მაგრამ სამწუხაროდ გამარჯვებულად არ გამოვლინდა, ამიტომაც უნივერსიტეტი შეეცდება მათ მხარდაჭერასა და ნაწილობრივ დაფინანსებას, რაშიც უნივერსიტეტის დახმარებისა და მხარდაჭერის ფონდი დაგვეხმარება, რომელიც ჩვენი თანამშრომლების აქტიური ძალისხმევით შეიქმნა.

ჩვენი მომავალი წარმატებისათვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებელთა მუდმივი კონტაქტი. ამას ემსახურება ჩემი პერმანენტული შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან და მეცნიერ-თანამშრომლებთან. ასეთი შეხვედ-

რები ამ დღეებშიც გაიმართა, რომელთა მთავარი მიზანი მიმდინარე პროცესების, კანონებში შეტანილი ცვლილებებისა და დაგეგმილი ღონისძიებების გაცნობა გახლდათ.

რახან ამ საკითხზე დავიწყებთ საუბარს, უნდა განვმარტოთ ისიც, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“, „სახელმწიფო შესყიდვებისა“ და „უმალესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე უკვე შესაძლებელი გახდება გამარტივდეს შესყიდვების პროცესი, კერძოდ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელი გახდება განხორციელდეს ელექტრონულად გამარტივებული შეესყიდვა, რაც გულისხმობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირის- უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ლიტერატურის (ბეჭდური, ელექტრონული ან აუდიოვიზუალური მატარებელზე განთავსებული), რეაქტივების, კომპიუტერული პროგრამების, ფარმაცევტული პროდუქტის, ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მონაცემთა ბაზების შეხვედრებისამებრ და გაცილებით მარტივად შეძენას, ეს კი ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკის



პერმანენტულად და ეფექტურად შევსებას, ლაბორატორიების მოდერნიზებასა და კვლევების აქტიურად წარმოებას.

სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სხვა ფაქტორებთან ერთად პირდაპირაა დაკავშირებული ბიბლიოთეკის სრულყოფასთან და მისი ახალი ლიტერატურით შევსებასთან. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. სახელმძღვანელოების რაოდენობისა და რარიტეტული წიგნების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს ელექტრონული ბიბლიოთეკის გაფართოების პროცესი.

მუდმივი ზრუნვის კიდევ ერთ საგანს მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა წარმოადგენს. ამ მიმართულებით უკვე

მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადავდგით, მაგრამ ვაცნობიერებთ იმასაც, რომ ყოველივე არ არის საკმარისი და თანამედროვე მოთხოვნები გაცილებით მეტს გულისხმობს. ამიტომაც ადმინისტრაცია ცდილობს თანმიმდევრულად მოაგვაროს იგი. ახლო მომავალში დღის წესრიგში ალბათ კიდევ ერთი ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა დადგება, რაშიც რეგიონული მთავრობის დახმარების იმედიც გვაქვს.

როგორც ვხედავთ, ჩვენ არ ვჯერდებით მიღწეულს და ამ პროცესში თითოეული ჩვენი თანამშრომლისა და სტუდენტის თანადგომის იმედი გვაქვს. ამის გარეშე შეუძლებელია არსებული გამოწვევებისა და მუდმივად

მზარდი მოთხოვნებისათვის ფეხის აწყობა.

და ბოლოს, რა შემთხვევაში უნდა იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც არჩევანი ჩვენს უნივერსიტეტზე გააკეთეს. მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ მათ ეს არჩევანი არ გაუცრუვდებათ, რადგან აქ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამები, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება ელოდებათ. მინდა თითოეულ მათგანს წარმატებები ვუსურვო ერთიან ეროვნულ გამოცდებში და დავარწმუნო, რომ ეს ტრადიციული და თითქმის 80-წლიანი გამოცდილების მქონე უნივერსიტეტი მათ გულლიად და ახალი მიღწევებით შეეგება.

პროექტი „აჭარის ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტ „აჭარის ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს“ წარდგინება გაიმართა. პროექტს არასამთავრობო ორ-



განიზაცია „ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო“ ახორციელებს და მიზნად ისახავს ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარებას, კომპეტენტური აზრის ფორმირებასა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული „აჭარის ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს“ მუშაობაში ჩართული იქნება კონკურსის წესით შერჩეული 30 წევრი. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, ადვოკატირების, კონფლიქტების მართვის, დიპლომატიის, მოლაპარაკებების ხელოვნების, საჯაროდ სიტყვით გამოსვლის ხელოვნებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამაში.

სამინარი ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების საკითხზე



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრის დირექტორმა პაატა გოგოლაძემ ევროინტეგრაციის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სამინარი ჩაატარა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების საკითხზე. მომხსენებელმა ევროკავშირთან გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებასა და კავშირში საქართველოს ინტეგრაციის მიმდინარე პროცესები განიხილა. საუბრისას ყურადღება გაამახვილა ასევე ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის პრობლემებსა და ამ მხრივ განსახორციელებელ საკანონმდებლო თუ ტექნიკურ რეფორმებზე.

უნივერსიტეტის რექტორი პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა

სააქტო დარბაზში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიოზა ბაკურიძისა და პროფესორ-მასწავლებლების ტრადიციული შეხვედრა გაიმართა. რექტორმა აკადემიურ პერსონალს „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებები გააცნო და გასული სასწავლო წლის სემესტრის შედეგები შეაჯამა. ასევე ისაუბრა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ვადების შეცვლაზე, შესყიდვების გამარტივებულ წესზე, უნივერსიტეტის ავტონომიაზე, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციასა და სამეცნიერო საგრანტო პროექტებზე.



უნივერსიტეტის აქცია - „გაილა სისხლი - გადაარჩინა სიცოცხლე“

„გაილა სისხლი-გადაარჩინა სიცოცხლე“- ამ დევიზით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა აქცია გამართეს. სისხლი დღეს 30-ზე მეტმა სტუდენტმა და პროფესორმა გაილა, ხოლო დონორობის სურვილი 100-ზე მეტმა გამოთქვა. ღონისძიება მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს იმ პირებს, რომელთაც სისხლი ესაჭიროებათ, თითოეული ადამიანისგან უსასყიდლოდ გაღებული სისხლი მათ სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს. სისხლის ბანკის შესავსებად ეტაპობრივად უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი ჩაერთვება.





ინტერვიუ ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ბიზო ფარცხვალაძესთან

განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროს, თქვენი აზრით, როგორ პასუხობს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტი თანამედროვეობის გამოწვევებს?

თანამედროვე ტექნოლოგიები თავისი განვითარების შესაბამისად მოითხოვს საინჟინრო და აგრარული მიმართულების მქონე მაღალკვალიფიციურ კადრებს. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია და შერჩეული ისე, რომ დააკმაყოფილოს ბაზრის მზარდი მოთხოვნილებები. საინჟინრო და აგრარული დარგი საქართველოში სახელმწიფო პრიორიტეტთა რიგშია. ჩვენ უპირველესი მიზანია, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოვაზრდოთ ამ დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრები. ტექნოლოგიური ფაკულტეტი, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, ყოველთვის იზიდავდა აქტიურ, საფუძვლიანი ცოდნის მიღების მსურველ ახალგაზრდებს. ჩვენს ფაკულტეტს დიდი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ სტუდენტებს მისცეს არა მხოლოდ თანამედროვე განათლება, არამედ ჩამოუყალიბოს მათ ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას საინჟინრო და აგრარული საქმიანობის სფეროში. ჩვენთან ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები. მათ თავისებურებას განაპირობებს ძირითად სასწავლო კურსებთან ინტეგრირებული მართვის ავტომატიზებული სისტემების ისეთი საინჟინრო კომპიუტერული პროგრამები, როგორებიცაა: AutoCAD, LIRA, MathCAD, MATLAB, C++, SAP 2000...., რომლებიც პასუხობენ ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნებს.

ბსუ-ში მოქმედი გაცვლითი პროგრამების საშუალებით ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ თუ არა უცხოეთის წამყვან ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების საშუალება?

ფაკულტეტს საინჟინრო და აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან, მათ შორის: ბრანდენბურგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლეს სასწავლებელთან, ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან, სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან. მინდა განსაკუთრებით გამოვყო გასულ წელს ჩემი საქმიანი ვიზიტი იტალიის ქალაქ ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში „პოლიტექნიკო დი თორინო“, რომელიც „ტემპუსის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. შეხვედრის მსვლელობისას ლექციები ჩაატარეს: ენერგეტიკის დეპარტამენტის წევრმა, თერმო- და ჰიდროტექნიკური მიმართულების პროფესორმა - ეციო სპესამ და ენერგეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თერმო- და

ბაქნოლოგიური მაცნობარება პრიორიტეტით შორისაა

ჰიდროტექნიკური მიმართულების პროფესორმა, დოქტორმა - ჯანკარლო ჯენტამ, რომლებმაც გაგვაცნო ჰიდრო- და მექანიკურ ინჟინერიის, შიგა წვის ძრავების და სხვ. ლაბორატორიული სამუშაოების შედეგები. საუბრის ძირითად თემას წარმოადგენდა ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ურთიერთობა დასაქმებულ კომპანიებთან: „ფიატთან“, „ჯენერალ მორისთან“, „ბომბთან“, რომლებიც მათი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრებისათვის აფინანსებენ სამეცნიერო კვლევებს. შეხვედრის მონაწილეები პოლიტოს მაგალითზე იტალიის საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურასაც გავვეცანით.

ასევე, მიმდინარე წლის 2-8 მარტს, ტემპუსის პროექტ ENGITEC-ის ფარგლებში ვიმყოფებოდი შედეგით,



სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში-KTH. ვიზიტის მიზანი იყო უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაცია საქართველოში ტექნოლოგიური გამოწვევების საპასუხოდ. პროექტის საშუალო გეგმის შესაბამისად, სწავლების თანამედროვე მეთოდების განვითარების, კომპანიებთან თანამშრომლობის ახალი მიდგომისა და ევროპელი პარტნიორების მიერ გამოცდილების გაზიარების გათვალისწინებით, საქართველოში უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაციისათვის ტექნოლოგიური გამოწვევების საკითხები განიხილეს. ჩატარებულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ და ლექციები ჩაატარეს ცნობილი მეცნიერებმა და პროფესორებმა: პროფ. ლენარტ იოჰანსონმა და ვიქტორ კორდასმა თემაზე: კომპანიებთან სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის-KTH თანამშრომლობის სისტემა;

პროფ. იოჰან ბლაუსი - სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის-KTH ბიზნეს კავშირები;

პროფ. გორან ფინვედენი ვიცერექტორი - სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის - KTH მდგრადი განვითარება; პროფ. ანდრეს ფლიოდსტრომი - უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის ახალი ფორმები; პროფ. ფრედრიკ ლეგერენი - სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის-KTH აღმასრულებელი სკოლის მუშაობის სისტემა; პროფ. ლენარტ სტაალე - შედეგითი ინდუსტრიისა და საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა; პროფ. მიჰაი ნიკოლესკუ - სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის-KTH ინდუსტრიული ინჟინერიისა და მენეჯმენტის სკოლა; პროფ. ჟოზეფინა ჰაკენერი პოსე და ელინ ფელერსი - KTH-ის კარიერული სერვისის მუშაობა; შეხვედრის მონაწილეები გავეცანით სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის-KTH თანამედროვე ლაბორატორიების მუშაობას, სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის-KTH ურთიერთობას მათ ძირითად დასაქმებულ კომპანიებ-

თან: „Scania“, „Ericsson“, „Volvo“, „H.M“, „ABB“, „SAAB“ და სხვ. ამ პროგრამის აქტუალური თემატიკა მოიცავდა: თანამედროვე უმაღლეს საინჟინრო განათლებასთან დაკავშირებით ევროკავშირის კონცეფციების ანალიზს, ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებში არსებული კურიკულუმების შედარებით შესწავლას, უმაღლესი საინჟინრო განათლების რეფორმის კონცეფციას, სამოქმედო გეგმის - მდგრადი „აკადემიური საზოგადოება - მრეწველობა“ დიალოგისთვის შექმნას; საინჟინრო დარგში გარკვეულ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ჩართული ინტერდისციპლინური მოდულების შემუშავებას, რომლებიც ისწავლება სამ ქართულ უნივერსიტეტში და უკავშირდება სასწავლო მასალებს; ფაკულტეტთაშორის ტექნოლოგიებისა და პროდუქტის დიზაინის ლაბორატორიებისა და ერთობლივი კურიკულუმების საბჭოების ჩამოყალიბებას პარტნიორი ქვეყნებისათ უნივერსიტეტში.



საბაკალავრო დონეზე ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: მშენებლობა (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), არქიტექტურა, ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი, სამთო და გეოინჟინერია, აგრონომია (სრული სახელმწიფო დაფინანსებით), სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია. სამაგისტრო საფეხურზე ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები, აგრარული ტექნოლოგიები. სადოქტორო საფეხურზე სწავლის მსურველებს ვთავაზობთ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობასა და აგროეკოლოგიამცენარეთა დაცვის პროგრამებს. ფაკულტეტზე სრული სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდება IV საფეხურის შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: მშენებლობის მწარმოებელი, არქიტექტორ-ტექნიკოსი, კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი, სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი, ელექტრომომარაგებელი დანადგარების ოსტატი, ნავთობის და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი და მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება ექვლევათ, რომ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში და სწავლას დასაქმებულ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში?

მინდა შეგახსენოთ, რომ 21-ე საუკუნე ნოვაციური ტექნოლოგიების საუკუნეა. დღეს ტექნოლოგიური მეცნიერებები პრიორიტეტთა შორისაა. უცხოეთის ბევრი წამყვანი უმაღლესი



ოთხი დეპარტამენტი: ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი, ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტი, აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი და აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი.

რა სახის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სიახლეებს სთავაზობს ტექნოლოგიური ფაკულტეტი აბიტურენტებს?

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

სწავლა განაგრძონ საზღვარგარეთ, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში.

დასაქმების ბაზარზე არსებული მზარდი კონკურენცია მაღალკვალიფიციურ კადრების არსებობას მოითხოვს, არსებულ ვითარებაში ტექნოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფილის შესაბამისად დასაქმებას?

ტექნოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანია, ბაზარზე მოთხოვნილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან. მათი დასაქმების ძირითადი სფეროებია: სამშენებლო კომპანიები (მშენებელი, არქიტექტორი, სამუშაოთა მწარმოებელი, ინჟინერი), ნავთობის ტერმინალები, გაზისა და გაზსადენების კომპანიები, სატრანსპორტო საშუალებები და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, სატელეკომუნიკაციო ქსელები. ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რეგიონის წამყვან საინჟინრო და აგრარული მიმართულების კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც სტუდენტები გადიან სანარმოო პრაქტიკასა და სტაჟირებას, ასევე ტექნოლოგიური ფაკულტეტზე აქტიურად მუშაობს სტუდენტთა დასაქმების პროგრამაც, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ რეგიონში არსებული კომპანიები. თქვენი გაზეთის საშუალებით დასაქმების მიზნით თანამშრომლობისათვის გვინდა დიდი მადლობა გადაუხადოთ კომპანიებს: შპს „აჭარსპეცპროექტი“; შპს „ანაგი“; შპს „მონოლიტი 2005“; შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“; შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“; კომპანია „ინტერტექ კალბერტის“ საქართველოს ფილიალი; შპს „ბათუმის სამშენებლო კომპანია“; შპს „BWC“; შპს „ორი ჯგუფი“; კომპანია „ბათუმის წყალი“ შპს „ბიუსი გოგია“; კომპანია GIMG, ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალი, შპს „ARCH-Style“, კომპანია „სილქნეტი“, „A-net“-ს და სხვა კომპანიებს სტუდენტთა დასაქმების პროგრამაში აქტიური მონაწილეობისათვის.

პრაქტიკული საქმიანობის გარდა, ჩვენი კურსდამთავრებულები ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროში აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევიან. ბევრი მათგანი ღირებული სპეციალური ნაშრომის, მნიშვნელოვანი პროექტისა თუ გამოგონების ავტორია.

სამომავლო პერსპექტივებზე რას გვეტყვი?

სამომავლო გეგმებზე საუბარი შორს ნაგვიყვანს, თუმცა რამდენიმე მათგანზე შეიძლება შეგვჩერდეთ. ამ ეტაპზე სტუდენტებისათვის სწავლის პირობების გაუმჯობესებასა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას ვგეგმავთ. მინდა დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები მოვიშველიო, რომ „ეროვნულ განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დანერგულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი ავჯივინებს“ და ჩვენც ახალი მოთხოვნების შესაბამისად ხელი უნდა შევწყუთ უმაღლესი განათლების სასიკეთოდ ფორმირებას.



ტურიზმის ფაქტობრივი - მიღწევა და გამოწვევა ჩვენ ვისწრაფვით ვიყოთ უკეთესები...

ყველაფერი კი 3 წლის წინ დაიწყო, როდესაც აჭარის ა.რ. მთავრობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა. გადარჩევის მიზნით რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების აუცილებლობამ განაპირობა.

ფაკულტეტის მიზანია - ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება.

შემუშავდა და დაინერგა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „ტურიზმის“ საბაკალავრო და „სასტუმრო საქმისწარმოების“ პროფესიული პროგრამები, სწავლება დაიწყო თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიუმში.

ტურიზმის ფაკულტეტი ინტენსიურად მუშაობს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაფართოებისათვის. ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს შვედინის (გერმანია), ტელმარკის (ნორვეგია) და ებერსვალდის (გერმანია) უნივერსიტეტებთან, ჰამბურგის ეროვნული ბიზნესკოლეჯთან (გერმანია).

გაცვლითი პროგრამებით შესაძლებელი გახდა სწავლების ხარისხის ამაღლება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო



პროგრამები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გერმანიისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან. მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან ტურიზმის უცხოელი ექსპერტები.

სერიოზული პრეტენზია გვაქვს ვიყოთ პირველები. ჩვენი მიზანია სტუდენტებს მივცეთ ტრანსფერული ცოდნა, რათა შეძლონ საზღვარგარეთის ქვეყნებში თავიანთი სპეციალობით დასაქმება.

აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ მომზადდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. კერძოდ, გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტის სისტემა. ტურიზმის ფაკულტეტმა სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხის სწავლებას დაიწყო.

როს მართვის პროგრამა „Opera“. ამ სისტემით სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორებიცაა: „Sheraton“, „Radisson“, „Hilton“ და სხვა.

ვასწავლით რესტორნის მენეჯმენტის პროგრამულ სისტემას „Micros“. ფაკულტეტზე მოქმედებს ტურისტული სააგენტო „UNItour“, სტუდენტებს ადგილზე შეუძლიათ დაეუფლონ ტუროპერეტივებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ფაკულტეტი არსებობის მხოლოდ სამ წელს ითვლის, ის ერთიანი ეროვნული გამოცდების განაცხადში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი ფაკულტეტია საქართველოში.

ტურიზმის ფაკულტეტი წარმატებით ახორციელებს მნიშვნელოვან პროგრამებს და პროექტებს:

- ტურიზმის ფაკულტეტის 43 სტუდენტმა სასწავლო და სანარმოო პრაქტიკა

კა გაიარა მიუნხენის, ბერლინის და კუნძულ უზედომის 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის 9 პროფესორ-მასწავლებელმა სტაჟირება გაიარა ბერლინისა და ნორვეგიის უნივერსიტეტებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის 27 სტუდენტი სხვადასხვა გაცვლითი პროგრამით სწავლობდა ნორვეგიის, გერმანიის, პოლონეთისა და თურქეთის უნივერსიტეტებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის ორგანიზებით, ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს 20-ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები.

- ტურიზმის ფაკულტეტის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ მათი ანაზღაურებადი პრაქტიკა გაიარონ გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები



ტუბის უმრავლესობა წარმატებით საქმიანობს ცნობილ საერთაშორისო კომპანიებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების დიდი ნაწილი ზაფხულში ახლადგახსნილ სასტუმრო „Hilton“-ში დასაქმდებიან.

- გერმანული პარტნიორების მონაწილეობით, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ინგლისურენოვანი „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს რამდენიმე სემესტრი უცხოეთში ისწავლონ.

ფაკულტეტი აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას და მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს სტუდენტებისათვის მიმზიდველი სასწავლო გარემო.



საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გერმანიისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან. მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან ტურიზმის უცხოელი ექსპერტები.



რატომ პირველად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაქტობრივი მიმართულებით?

ფაკულტეტს სპეციალისტების მომზადების 80-წლიანი გამოცდილება აქვს. ფაკულტეტი უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობისათვის.

სწავლებასა და კვლევას ტრადიციულად ემსახურება ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. ფაკულტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი ლიდერია ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიური სისტემების, შავი ზღვის ეკოლოგიური და ქიმიური მონიტორინგის, გენეტიკური პოპულაციების კვლევისა და სწავლების თვალსაზრისით.

საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის მიმართულებას ირჩევს ადამიანი, რომელსაც ლაბორატორიული კვლევა აინტერესებს, მოგზაურობა ხიბლავს ან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ყოფნის სურვილი აქვს.

თითქმის ყველა საბუნებისმეტყველო დარგი ექსპერიმენტულია და აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვანი ნილი პრაქტიკულ კურსებს უკავია. ბიოლოგიისა და ქიმიის სასწავლო კურსების ათვისება ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიებში მიმდინარეობს. სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ ლაბორატორიულ კვლევაში. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ნაწილი კი უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში და რეგიონში მოქმედ სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში სრულდება, რომლებთანაც ფაკულტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები.



გეოგრაფიის, ეკოლოგიისა და ბიოლოგიის სპეციალობების დაუფლება მოგზაურობის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს საველე პრაქტიკებსა და ექსპედიციებს. შავი ზღვის პრობლემების შესწავლის მიზნით ტარდება პრაქტიკები შავი ზღვის აკვატორიაში გასვლით. ფაკულტეტზე შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, სადაც სტუდენტი დაეუფლება ქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

მედიცინის, სტომატოლოგიისა და ფარმაციის სპეციალობების სტუდენტები დარგობრივ კომპეტენციებსა და უნარჩვევებს საუნივერსიტეტო კლინიკებში იძენენ. ფაკულტეტზე შეიქმნა სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ, პრაქტიკული უნარ-ჩვევები მულაყებისა და სიმულაციების მეთოდების გამოყენებით ჩამოუყალიბდეთ. ჯანდაცვის მიმართულებით კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ, სწავლა გააგრძელონ ფაკულტეტზე მოქმედ სარეზიდენტო პროგრამებზე სხვადასხვა სპეციალობით.

ბიოლოგიისა და ქიმიის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა უფასოა - სტუდენტთა დაფინანსება სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი.

წარჩინებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა სახის სახელმწიფო

სტიპენდიით.

საინტერესოა ფაკულტეტზე სტუდენტური ცხოვრება. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო და სამეცნიერო კვლევაში პროცესებში, მონაწილეობენ სკოლა-სემინარების, საზაფხულო სკოლების, ვორკ-შოპების, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, გარემოსდაცვითი ღონისძიებებში, შემეცნებით, კულტურულ და სოციალურ პროგრამებში. სტუდენტები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ფაკულტეტს ჰყავს წარმომადგენლები უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში და წარმომადგენლობით საბჭოში. სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ საქველმოქმედო აქციებში. ეწყობა ექსკურსიები და დებატები. ტარდება გამოცდები. ისინი მონაწილეობენ სტუდენტურ გამოკითხვებში, აფიქსირებენ სურვილებსა და მოლოდინებს. დაინერგა საზღვარგარეთის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების სკოლებში სტუდენტების მონაწილეობა.

ფაკულტეტის სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები გაცვლითი პროგრამებით იმყოფებიან საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლებში (ნორვეგიაში, თურქეთის რესპუბლიკაში, საბერძნეთში, გერმანიაში, პორტუგალიაში, უკრაინაში).

როგორც ჯანდაცვის, ასევე საბუნებისმეტყველო მიმართულების სპეციალობათა კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან:

სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებში, ბოტანიკურ ბაღებში, აკვარიუმში, დეფინარიუმში, ზოოპარკში, ბუნების დაცვის ორგანიზაციებში, დაცულ ტერიტორიებში (ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში), წარმოება-დანესებულების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურებში, ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურებში, გარემოს დაცვის ეროვნულ სამსახურებში, სამედი-

ცინო კლინიკებში, აფთიაქებში, ფარმაცევტულ კომპანიებში, ქიმიურ-ფარმაცევტულ და კვების მრეწველობის საწარმოებში, სამედიცინო ლაბორატორიებში, საბაჟო-საკარანტინო სამსახურებში, პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აღიარებულია უცხოეთშიც. ისინი პროფესიის შესაბამისად დასაქმებული არიან უკრაინაში, გერმანიაში, საბერძნეთში, რუსეთში, თურქეთში, გაერთიანებულ ემირატებში.

საგანმანათლებლო პროგრამები

ბაკალავრიატი

- ✓ ბიოლოგია
- ✓ ეკოლოგია
- ✓ ზღვის ბიოლოგია
- ✓ გეოგრაფია
- ✓ ქიმია
- ✓ ფარმაცია

ერთსაფასურიანი

- ✓ მედიცინა
- ✓ სტომატოლოგია

მაგისტრატურა

- ✓ ბიოლოგია
- ✓ ქიმია
- ✓ ფიზიკური გეოგრაფია, გარემოს მდგრადი განვითარება

დოქტორანტურა

- ✓ ბიოლოგია
- ✓ ბიოორგანული ქიმია





ძვირფასო ქალბატონებო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, ადმინისტრაცია, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები გილოცავთ 3 მარტს - დედის დღესა და 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთეს და წარმატებებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობაში.

გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“ ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს, სამი შვილის ღირსეულ დედებს: ნანა ბჰარიშვილს, ნანა ციციხლაძეს და ნანა ძაბაძეს ესაუბრება.



ნანა ბჰარიშვილი

— როგორ უთავსებთ ერთმანეთს ოჯახს და სამსახურებრივ საქმიანობას?

— ოჯახი ისეთი რამაა, რასაც ყოველთვის ფაქიზად უნდა მიუღწეო, ის ღვთის საჩუქარია. ეს ის ფრაზებია, რომლებიც ხშირად მესმოდამ მომლოცვისაგან. ქართული ცნობიერებისათვის ოჯახი წინააღმდეგობაა, რომელიც სულ მტკიცედ უნდა იდგეს და მის წევრებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, პატივს სცემდნენ ერთმანეთს. როცა მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი შევქმენით, ვერ გეტყვით ვაცნობიერებდი ყოველივე ამას თუ არა, მაგრამ ჩვენ იმ თაობის წარმომადგენლები ვართ, ვისთვისაც ფუნდამენტური ღირებულებები კითხვითი ნიშნის ქვეშ არასოდეს დამდგარა, ამიტომაც ჩემი ოჯახი ტრადიციულად, ქართულად, მამაპაპურად შეიქმნა და მისი ისტორიაც და ხასიათიც ასეთია: სტუმართმოყვარე, ღია, ყველასგულშემოხმადიანი და მეგობარი. ჩემი შვილები ასეთ გარემოში გაიზარდნენ, რასაც ხედავდნენ და ესმოდან, ის იყო მათთვის

სამაგალითო და სანუკვარი. ოჯახი ჩემთვის უმთავრესია, თუმცა სამსახური არანაკლებ მნიშვნელოვანია. ასეთ რეჟიმში უფრო მობილიზებული ვარ და ვახდენ საკუთარი თავის რეალიზებას. ზოგადად ვინც მიცნობს, დამეთანხმება, რომ ვარ ენთუზიასტი, აქტიური, ხალისიანი — ეს თვისებები, ჩემი შინაგანი მუხტი გაჩერების, მიღწეული დაკმაყოფილების უფლებას არ მძლევს, ამიტომაც შრომა და პროფესიული სრულყოფა ჩემი შინაგანი მოტივაციით არის განპირობებული. სამსახური ჩემთვის არის საქმე, რომელიც მიყვარს, შესაბამისად, არასოდეს ყოფილა ტვირთი, პირიქით — ჩემი ინტერესის სფეროა. სამი შვილისა და ხუთი შვილიშვილის ბებია ვარ და დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია ოჯახის წინაშე, ვცდილობ, სამსახური და ოჯახი მაქსიმალურად შევუთავსო ერთმანეთს, რაც, როგორც მე ვფიქრობ, გამომდის კიდევ, მეუღლის გვერდით დგომითა და მხარდაჭერით.

— რთულია ბევრი შვილის მოვლა-პატრონობა?

სამი შვილის გაზრდა და რაც მთავარია, მათი აღზრდა რთული მოვალეობა და ვალდებულებაა. მთავარი ხომ არა მარტო მათი გაზრდა, არამედ ისაა, როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდებიან. ვფიქრობ, რომ ჩემს ცდასა და შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, ორ შვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და დასაქმებული არიან, მესამე კი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტია. დღეისათვის სამივე შვილი დაოჯახებულია და დამოუკიდებლად ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობა კი არ შემცირებულა, პირიქით — გაიზარდა, ვინაიდან, როგორც რუსული ანდაზა ამბობს, „Маленькие дети маленькие хлопоты, большие дети - большие хлопоты“

ჩემი შვილები ახალგაზრდები არიან, ამიტომაც მიმაჩნია, რომ გამოცდილი ადამიანის ფიზიკური თვალის მიდევნება მათზე აუცილებელია, მათივე უსაფრთხოებისა და ცხოვრების სიმძლეების გაიოლების მიზნით. ასე რომ, მოდუნების უფლებას თავს არ ვაძლევ, გამუდმებით ვფიქრობ მათი გადასახედიდან, მათი თვალსაწიერიდან და ვქონდავ მათ წარმატებებს.

— თქვენი წილი პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე...

— ჩემი წილი პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე საკმაოდ დიდია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში მოვალეობები მე და ჩემს მეუღლეს მეტნაკლებად გადანაწილებული გვქვს, სამუშაოს დიდი წილი ჩემზე მოდის, რაც საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს, მოითხოვს კოლოსალურ ენერჯიასა და შრომას. ჩემი პატრონაჟის ქვეშ არის ოჯახში თითქმის ყველა სფერო — მიმართულება. მართალია, თანაფარდობა დაცულია, მაგრამ ჩემი შინაგანი თვისებებიდან გამომდინარე, ბუნებით მაქსიმალისტი ვარ, საკმაოდ აქტიური დიასახლისი და მეურნე გახლავარ.

— დედა და შვილები...

— მშობლებისა და შვილების ურთიერთობა მარადიული საკითხია, რომელზეც უამრავი რამ დანერგა და თქმულა წარსულში, ეს თემა მუდამ აქტუალური იქნება მომავალშიც. მყავს სამი შვილი, ერთი გაუი და ორი ქალიშვილი, შემძლია ამაყად ვთქვა, რომ ვენდობი შვილებს და უფლებას ვაძლევ მათ იცხოვრონ საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით. ვცდილობ, არ ჩავერიო მათ პირად ცხოვრებაში. ვთვლი, რომ ასეთი ურთიერთობის შედეგია მათი თავისუფლად მოაზროვნე და კომუნიკაბელურ პიროვნებად ჩამოყალიბება, ალბათ

ისიც, რომ შექმნილი აქვთ ჰარმონიული ოჯახები, ცხოვრობენ საკუთარი ცხოვრებით, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს. როგორც ბიოლოგი, გეტყვით, რომ დედობრივ ინსტინქტს წლები, დისტანცია, გეოგრაფია, სხვადასხვა ფორმები ცხოვრება, ერთი სიტყვით, ვერაფერი ანელებს. ჩემი შვილები ჩემთვის ცხოვრების აზრი, მიზანი და საერთოდ, მთელი სამყაროა.

— ბებია და შვილიშვილები...

— ოჯახში ახალი სიციცხლის გაჩენაზე სასიხარულო მგონი არაფერია. ყველათვის სიხარული მოაქვს პატარას და მასთან ერთად ყველა სხვანაირად იწყებს ცხოვრებას. ნელს ბედნიერების სამი ტალღა ერთბაშად გადავიტანეთ. უფლის ნებით ჯერ ნუცა დაიბადა, შემდეგ ქეთი, და ბოლოს ალექსანდრე. ნამდვილად ვფიქრობ, რომ ვარ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შვილიშვილების სიყვარულით გარემოცული ბებია.

— რძალი და დედამთელი ...

შვილმა მეუღლე ადრეულ ასაკში შეირთო, ამ პერიოდისათვის მეც საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი, მცირეწლოვანი შვილებით. გაცნობიერებამ იმისა, რომ რძალი ახალ გარემოში მოხვდა და უნდა იპოვოს თავისი ადგილი, მისთვის შეგუების მომენტი რთულია, დიდი როლი ითამაშა ჩვენს ურთიერთობაში, თუმცა ხშირად არანაკლებ მტკიცეწლოვან დედამთელისთვის ოჯახში „უცხო“ ადამიანის მიღება ამაყად ვთქვა, რომ ვენდობი შვილებს და უფლებას ვაძლევ მათ იცხოვრონ საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით. ვცდილობ, არ ჩავერიო მათ პირად ცხოვრებაში. ვთვლი, რომ ასეთი ურთიერთობის შედეგია მათი თავისუფლად მოაზროვნე და კომუნიკაბელურ პიროვნებად ჩამოყალიბება, ალბათ

ალექსანდრე კარგი დედის ხელთ არიან.

— თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე...

ჩემი ჩვეულებრივი დღე, თუ ეს სამუშაო დღეა, ჯერ კიდევ წინა დღით იწყება, რადგან სადილის თადარიგის დანყება წინა დღიდან მიწევს, დღიდან უნივერსიტეტში ვარ. ლექციები, სამეცნიერო საქმიანობა, სტუდენტებთან ურთიერთობა, სასწავლო პროცესი, მოგესხენება, როგორი რიტმიცაა, შემდეგ გზრუნდები სახლში, დღე არ გავა, რომელიმე შვილიშვილის ზედამხედველობა არ მომინოს. სამზარეულო, განსაკუთრებით ცომეული, კარგად გამომდის, ასე, რომ საინტერესო ბებია ვარ. მეღლე მეოთხე შვილია, ჩემგან განსაკუთრებულ ყურადღებას მიჩვეული. დატვირთული საქმის გამო, მეზობლობის ტრადიციაც ცოტა არ იყოს მომეშალა, მაგრამ ჩემი მშობლების ნახვას ყოველდღე თუ არა, დღეგრძელებით, მაინც ვახერხებ. საღამოს ყველას მოვიკითხავ.

— მრავალშვილიანი დედის ოცნება...

— ოცნება არ არის ორიგინალური. ჩემი ოცნება ჩემი შვილებისა და მათი ოჯახების ჯანმრთელობა და კეთილდღეობაა. მინდა იყვნენ წარმატებულნი და ბედნიერნი.

— დედა, ოჯახის დედამთელი...

— დედა, უკვე გითხარით, პასუხისმგებლობაცაა და ბედნიერებაც. მე მოხარული ვიქნები, თუ ჩემი შვილები სწორად შეაფასებენ და დააფასებენ ჩემს მათდამი გრძობასა და ამაყს, რომ ღირსეულად იცხოვრონ და იბრძოლონ. მათთვისაც ისეთივე წინააღმდეგობაა, სათუო და უმნიშვნელოვანესი იყოს ოჯახი, როგორც ჩემთვის. სადაც გულის სიღრმეში დარწმუნებული ვარ ამაში... სხვაგვარად ვერ წარმოვიდგენია.

— როგორ უთავსებთ ერთმანეთს ოჯახს და სამსახურებრივ საქმიანობას?

— ვერ ვიტყვი, ოჯახსა და სამსახურებრივ საქმიანობას იდეალურად ვუძღვები-მეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ ორივეს ვახერხებ. ყველაზე მეტად კრიტიკული საკუთარი თავის მიმართ ვარ, ეს და პასუხისმგებლობა მეხმარება, ძალ-ღონე არ დავზოგო, ყველაფერი გულისყურით ვაკეთო. ოჯახი ჩემთვის, როგორც ქართველი ქალისთვის, ყველაზე სათუთი თემია, ის წმიდათანმინდა ადგილია, სადაც მოდის ნებისმიერი ადამიანი. ნებისმიერი ჩვენგანი ოჯახის სარკეა, ჩვენდაუნებურად ვაველენთ, როგორ ოჯახში ვიზრდებოდით, რით ვსულდგმულვოდით, რას გვასწავლიდნენ, რა ტრადიციები იყო მთავარი, როგორი ატმოსფერო სუფევდა იქ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი სავანეა და უმთავრესია, მიმაჩნია, რომ მისივე კეთილდღეობისთვის აუცილებელია საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებული საქმიანობაც. საოჯახო და სამსახურებრივი საქმიანობის კარგად დაბალანსება ყველაწინაირი წარმატების აუცილებელი პირობაა, ოღონდ წსროდ ამ ოპტიმალური გამოსავლის პოვნაა ძნელი. საკუთარი თავი ვერ წარმოვიდგენია საზოგადოებრივი საქმიანობის გარეშე, თუმცა, როცა სახლიდან დიდი ხნით გამოვიდვარ, ერთგვარი ნერვიულობა და შფოთვა მენყება, თუნდაც იქ ყველაფერი იდეალურად მქონდეს. ამ დროს ველავ, რომ შვილებს ხელს ვაკლებ. საკუთარ ოჯახში, შვილებთან გატარებული წუთები ყველაზე ძვირფასია. და ბოლოს, ჩემთვის ოჯახი და სამსახურებრივი საქმიანობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სფეროებია, ორივე მათგანი მოითხოვს უდიდეს პასუხისმგებლობას,

ნანა ციციხლაძე შვილებთან



ბას, თავდაუზოგავობას, სიტბოს, სიყვარულსა და რუდუნებას, ამის გაკეთება ძალიან ძნელია, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, ქალმა, მეტადრე დედამ, სწორედ ოჯახი უნდა აირჩიოს, რადგან ეს უდიდესი მოვალეობაა ერისა და ქვეყნის წინაშე და იქ დაშვებული ერთი პატარა, უნებლიე შეცდომა ხშირად საბედისწეროა.

— რთულია ბევრი შვილის მოვლა-პატრონობა?

— სამი შვილის მოვლა-პატრონობა მართლაც ძალიან ძნელია, მით უფრო, რომ მარტო გაზრდა არაა მთავარი. აღზრდასთან ერთად მათი დაფრთხილება, სრულფასოვანი, თავისუფალი, მოაზროვნე ადამიანებად ჩამოყალიბება მეტად საპასუხისმგებლო რამაა. ყველაზე მთავარი კი ისაა, თანამედროვე ეპოქაში ისინი ეროვნული სულით საზრდობდნენ, ტრადიცია და თანამედროვეობა კარგად შეუთავსონ ერთმანეთს და ამ სულისკვეთებით იცხოვრონ.

რაც შეეხება იმას, რომ ბევრი შვილის მოვლა-პატრონობა ძნელია, ეს უდავოა, მაგრამ ვაკვირდები ასეთ რამეს: ხშირად დედისერთებს მეტი სჭირდებათ, მათი მოთხოვნები შაგრენის ტყავით იზრდება, ცხოვრების ყადრი ნაკლებად იციან, ვერც ადამიანის სიყვარულით დაიკვივნიან. ამას ვერ განვაზოგავდებთ, მაგრამ მეტწილად ასეა. მოზარდს იმდენი უნდა ჰქონდეს, რომ დაზოგვა სჭირდებოდეს, ასე ცხოვრების ყადრსაც ისწავლის და და-ძმაზეც იფიქრებს. ჩემს შვილებს არ უჭირთ, მაგრამ ყველაფერი ნამდვილად არ აქვთ, სამაგიეროდ, ერთმანეთი უყვართ, უნაწილებენ ურთიერთს რაც აქვთ, ზრუნავენ ერთმანეთზე. უფროსი ქალიშვილი ამ ჯაფას მიმსუბუქებს, ამიტომ ის უმცროსებს განსხვავებულად უყვართ. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ მას მეტად უყვარებენ, ვიდრე - მე; თუ საჭიროა, იცავენ კიდევ. ღმერთის ვევედრები, ჩემი წილი პასუხისმგებლობა ოჯახ-

ში ძალიან დიდია, ზოგჯერ იმაზე მეტიც, ვიდრე მევალება. როცა დრო არ ითმენს, მორჩენია, ვიტვირთო ბევრი რამე, ოღონდ საქმე გაუკეთებელი არ დარჩეს.

— დედა და შვილები...

დედა და შვილები, ეს ბუნების ნადილი სასწაულია, უდიდესი სიყვარულია, სიტბოა, ნეტარებაა. ისინი ერთმანეთთან თავს დაცულად გრძობენ.

— თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე...

— ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე იწყება უამრავი საზრუნავით, რაც მთავარია, იმაზე ფიქრით, რომ პატარებმა დაიცვან დღის რეჟიმი, ივარჯიშონ, იკვებონ ჯანსაღად, რადგან ადამიანის ჯანმრთელობას გაჩენის დღიდანვე ეყრება მკვიდრი საფუძველი. დილაობით ვუმზადებ შერკულესის ფაფას, ვაძლევ მიირთვიან ვაშლი. უფროსი ქალიშვილი მეთერთმეტეკლასელია და არც შეხსენება სჭირდება, როდის რა გააკეთოს, უმცროსებს კი ხშირად ვახსენებ თავიანთ მოვალეობებს, ვიდრე მათი საყვარელი მულტფილმი დაიწყება, მანამ მოანერსიგონ საკუთარი ნივთები. მინდა ჩამოუყალიბდეთ „ნესრისის მოთხოვნილება“. ამის შემდეგ შუათანა ქალიშვილს ვაკვეთილებ ვამეორებინებ და სკოლაში ვამზადვარებ. საბედნიეროდ, ახლოს მაქვს სკოლაც და საბავშვო ბაღიც, ისე ახლოს, რომ ჩემი თვალსაწიერიდან ადვილია მათი დანახვა. შუათანა ქალიშვილი უფროსს მიეყავს სკოლაში, უმცროსი ვაჟი კი მე თავად მიმეყავს სასულიერო ბაღში, სადაც მას სასიამოვნო გარემო ხვდება. საკუთარ გარეგნობაზე საზრუნავად ცოტა დრო მრჩება, თუმცა ყოველთვის ვცდილობ, ესეთიკუთრი მხარე არ გამომჩრეს მხედველობიდან.

ამის შემდეგ სამსახურში მივირ-


ქარი, სადაც მთელი დღის განმავლობაში ვრჩები.

წინასწარ ვადგენ გასაკეთებელი საქმეების ნუსხას. ვცდილობ, ყველაფერი გონივრულად დავეგეგმო, რომ რამე არ გამომეპაროს. უდიდესი სიამოვნებაა, როცა ყველა პუნქტთან პლუსს დავსვამ ხოლმე. როცა ბევრ რამეს ვასწრებ, ეს ახალი ენერჯით მავსებს და დღე უფრო ნაყოფიერი გამომდის. შინ რომ მივდივარ, უმცროსი შვილი გამომყავს ბალიდან. ოჯახის წევრები საღამოობით ვიკრიბებით. ამ პერიოდში ერთდროულად რამდენიმე საქმეს ვაკეთებ, მაგალითად, ვამზადებ სადილს მეორე დღისთვის და პარალელურად შუათანა ქალიშვილს ვეკითხები გაკვეთილებს. ამის შემდეგ ვუძღვები საოჯახო საქმეებს, ბავშვებს ზოგად უნარებში ვავარჯიშებ. უფროსი ქალიშვილს ამ მხრივ ნაკლებად სჭირდება ჩემი მეთვალყურეობა, თუმცა ხშირად მთხოვს კონსულტაციებს. როცა მათ დავაძინებ, აუცილებლად უნდა გადახედო ჩასატარებულ ლექციებს, მოვებნო სიახლე. ჩვეულებად ვაქციე, ყოველდღიურად, რაც უნდა მოხდეს, ნავიკითხო ახალი რაღაცა ჩემს სპეციალობაში, გამოკვეთილი მაქვს საჭირობოროტო საკითხები, რომლებზედაც წლების განმავლობაში ვაგრძობ მასალებს. თუ ეს ვერ მოვახერხებ, იმ საღამოს არ დამეძინება, „ინტექტუალურ შიმშილი“ მანუხებს. ეს ბევრ რამეში მეხმარება. რაც ყველაზე მთავარია, ყველაფერს ვაკეთებ შინაგანი მოტივაციით.

მიუხედავად მტკიცე რეჟიმისა, ვესწრები ღვთისმსახურებას, გამოყოფილი მაქვს დღეები ნათესავების, ავადმყოფების, ახლობლების მოსანახულებლად. მინდა, სიტბო და სიყვარული ყველას გავუნანილო, ეს გრძობილი საურთიერთობა, ცალმხრივად არ არსებობს.



იუზიკლარი ქალშაყონი



გაზაფხული შემოსულა, ლენ

გაზაფხული შემოსულა, ლენ, ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს... მე გიყიდ წითელ-ყვითელ ჩითებს, თეთრ ტილო მომიქარგე შენ!

გაზაფხული შემოსულა, ლენ! მოგანატრე სათბი და ტყე-სუნი ქუსლით გასრესლო აწწლის, შიშის გუშბათი ბუთინის ტაძრის და ცისფერ, უბორკლო დღე... მოგანატრე სათბი და ტყე!

აწი აღარ გაგაჩერებ შინ, აწი ოჯახს ვერ დაარქვე „დღევან“, მკვრივს ბიჭი შეუყენე ბილეს — მწვერულით გამობტუნე წინ! აწი აღარ გაგაჩერებ შინ!

გაზაფხული შემოსულა, ლენ, რა-რა გაუძარათ ჩიტებს... მე გიყიდ ყვავილან ჩითებს, თეთრ ტილო მომიქარგე შენ! გაზაფხული შემოსულა, ლენ!

მორზან ლეპანძე



ნანა ქაჯაიანი

როგორ უთავსებთ ერთმანეთს ოჯახს და სამსახურებრივ საქმიანობას?

ვცდილობ ოჯახსაც და სამსახურსაც თანაბარი პასუხისმგებლობით მოვეციოდ. ამაში ოჯახის წევრებიც მინყობენ ხელს.

როსულია ბევრი შვილის მოვლა-პატრონობა?

შვილი, მით უმეტეს ბევრი შვილი, ღვთის ნყალობაა, საჩუქარია და

განუვლი გარჯაც სასიხარულო და სასიამოვნოა. რა თქმა უნდა, ოლი არ არის, მით უმეტეს, რომ სამივე შვილი თითქმის ერთი ასაკისა მყავს (ტყუპი ქალ-ვაჟი 10 წლისანი არიან, უმცროსი ვაჟი კი - 9). ასე რომ, სამმაგად მიწევს ხოლმე მოფერებაც, დატუქსავაც, ჭკუის დარიგებაც, მუშაობაც...

— თქვენი წილი პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე...

დადასახლის ყოველთვის მეტი საზრუნავი აქვს. ოჯახიც დიდი მყავს, ამიტომაც მეუღლეც ცდილობს შემომსუბუქოს საქმე, ყოველთვის მიდგას გვერდით.



პროფესორ შალე მამუჭაძის

სლავისტიკის დეპარტამენტის ლენინოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ყველასათვის საყვარელი და სათნო ქალბატონი, ასისტენტ პროფესორი შალე მამუჭაძე იუზიკლარია. როგორც ამბობენ, ქალბატონების ასაკს არ ამხელენ. ქალბატონი შალე თავისი ახალგაზრდული შემართებითა და უშრეტო ენთუზიზმით ბევრი ახალგაზრდასათვის მაგალითს წარმოადგენს.

ქ-ნმა შალე მამუჭაძემ თავისი ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობის მანძილზე არაერთი თაობა აღზარდა.

1966-1971 წლებში ის სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1978 წლიდან ქალბატონი შალე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე კითხულობს ლექციებს.

2006 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ნომინაციურ-ინფორმაციული სტრუქტურები სარეკლამო პოზიციაში“.

2007—2009 წლებში ქ-ნ შალე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობდა. 2009 წლის სექტემბრიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორია, 2013 წლის სექტემბრიდან კი - ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასისტენტ პროფესორი.

მაღალი პროფესიონალიზმი, ფართო ერუდიცია და საქმისადმი ერთგულება - ეს ის თვისებებია, რომლებიც გამოარჩევს ქალბატონ შალეს. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს სარეკლამო დისკურსის თავისებურებანი, მეტყველების კულტურა და ენის სტილისტიკა. ამ სფეროში მას გამოქვეყნებული აქვს საინტერესო და აქტუალური სამეცნიერო ნაშრომები. ის სისტემატურად ლეზულობს მონაწილეობას საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში.

გარდა ამისა, ქ-ნ შალე აქტიურ მონაწილეობას ლეზულობს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების საქმეში. წარმატებით გაიარა ასოციაცია „სკოლა-ცხოვრება-საზოგადოების“ ეგიდით ჩატარებული ტრენინგი - „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აკრედიტირებული პროგრამების სამუშაო ვორკშოპში მონაწილეობა და მწვრთნელის მოსამზადებელი ტრენინგი“, მინიჭებული აქვს მწვრთნელის სერტიფიკატი. მონაწილეობას ლეზულობდა საერთაშორისო პროგრამის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ ტრენინგებში. გაიარა 45-საათიანი ტრენინგი „კრიტიკული აზროვნება და აქტიური სწავლა უმაღლეს სასწავლებელში“ (კაასუს), რისთვისაც მიენიჭა სერტიფიკატი. 2009 წლიდან დღემდე ის არის ბსუ-ს პედაგოგთა დახელოვნებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი.

ქ-ნ შალე 2010 წლიდან დღემდე სამეცნიერო ჟურნალ „ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრია. იგი აგრეთვე ეწევა ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას.

ქ-ნ შალე გამოირჩევა სტუდენტების მიმართ ყურადღებიანი, გულსხმიანი და მოტივირებული. შესაშური მზადყოფნითა და გულმოდგინებით ცდილობს გულთან მიიტანოს სტუდენტების პრობლემები და დაეხმაროს მათ მოგვარებაში. სტუდენტებსაც განსაკუთრებით უყვართ ეს თმადათოვლილი, სუფთა გულის ადამიანი.

ვულოცავთ ქ-ნ შალეს ამ ლამაზ იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, იმედების ახდენასა და წარმატებებს ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სლავისტიკის დეპარტამენტი



პროფესორ ნანა სტამბოლიშვილი

ვეროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. სწავლის დასრულების შემდეგ ის მუშაობდა სალიბაურის №2 სკოლა-ინტერნატში გერმანულის მასწავლებლად, ხოლო 1974-1991 წ.წ. ბათუმის №44 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში გერმანული და ინგლისური ენების მასწავლებლად;

ქალბატონი ნანა 1987 წლიდან დღემდე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს. 1999-2006 წლებში ის იყო გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტი, ხოლო 2006—2009 წ.წ. გერმანული ფილოლოგიის კათედრის და 2009-2013 წ.წ. ვეროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. 2013 წელს ის აირჩიეს ვეროპეისტიკის დეპარტამენტის სრულ პროფესორად. ამავე დროს, 2009 წლიდან, ის არის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

მას გამოცემული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და ნაშრომი, მათ შორის:

- 1. მონოგრაფია: „გერმანული იდიომატიკა და მისი სწავლების საფუძვლები. (მონოგრაფია). ბსუ-ს გამოცემლობა, ბათუმი, 2001.
- 2. სახელმძღვანელო: „გერმანული ფილოლოგიის შესავალი“ სალექციო კურსი. ბსუ-ს გამოცემლობა, ბათუმი, 2013.
- 3. ლექსიკონი: გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამოცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ ბათუმი, 2010.

ქალბატონი ნანა აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. 2010-2012 წლებში ის მიიწვიეს მომხსენებლად საერთაშორისო კონფერენციებზე გრანადასა და პარიზში, სადაც მის მიერ წარმოდგენილი მოხსენებებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. ის მუდამ იმდღეს კვალიფიკაციას სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებში, როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი მაღალი პროფესიონალიზმი ერთ-ერთი მთავარი საწინდარია გერმანული ფილოლოგიის პროგრამის წარმატებისა. ის ძალიან კარგად ფლობს სამ უცხოურ ენას: გერმანულს, ინგლისურს და რუსულს. 2010 წლიდან დღემდე არის ევროპის ფრაზეოლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. 2009 წლიდან FIPLV მრავალენოვანი საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

ჩვენ გულწრფელად ვაფასებთ იმ ღვაწლსა და დამსახურებას, რომელიც ქალბატონ ნანას მიუძღვის ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. აღსანიშნავია ის წვლილიც, რომელიც მან წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომით, ნიჭითა და თავდადებათ შეიტანა საქართველოში გერმანისტიკის განვითარების საქმეში. ის არა მხოლოდ თავად ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას, არამედ ბევრი ნიჭიერი სპეციალისტი აღზარდა, რომლებიც ამჟამად თავად ემსახურებიან ახალგაზრდა თაობის პროფესიულ განვითარებას.

ქალბატონი ნანა, თქვენი კოლეგები ყოველთვის ვგრძნობთ საქმისადმი თქვენს ერთგულებას და სიყვარულს. ამავე დროს, ჩვენც ვიზიარებთ თქვენს სულისკვეთებას ფილოლოგიური მეცნიერებების მზარდი და ძალზე პერსპექტიული მომავლის შესახებ და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი გამოცემული არაერთი სახელმძღვანელო და სამეცნიერო ნაშრომი ამ წინსვლას ხელს შეუწყობს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შემდგომ წარმატებებს მეცნიერულ და პედაგოგიურ ასპარეზზე. თქვენი ღვაწლი ამ ასპარეზზე დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორი თავდადება და ერთგულებით უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის და წინსვლის საქმეს.

ბსუ-ს ვეროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპანატი

გაზაფხულის ქარი

გაზაფხულის დაუბერავს ქარი, მწველ ფერებსაც კვლავ აუშლის აფრას, მერე გრძობებს გაღვიძებს ფიონილად, სიყვარულის ააქლერებს აფრას.

ღრუბლებიდან თიბებს შემოხვეს ნაზად, მომიყვება მონატრებულ ამბავს, როგორც შარშან, ახლაც ლამაზ ვერტებს მწვანე ტყეში თვალ გაუხაბავს.

ლოლივა კაბადონი ზეცის, მზე ღიმილით გადავლის მთებზე, ჩიტუნებს ჟრამულ მესმის, ჩიტატონა ისევ სატრფოს ეძებს.

სული ახლა სხვანაირად ფეთქავს, ბაღშიც მალე ყვავილები მოითვის, და ოცნება ამიტაცებს ცაში, როგორც ქარი - მოფარებატე ფითილოს.

თითქოს ვიყო მე უშქო ბავშვი, უნახეს, უწრფელესი განცდით, ჰო, დაგებებს და გაბოვი, ვიცო, ალბათ, გზაში წუთითად ავცდით. ვიცო, ისევ დაუბერავს ქარი, ქარი ჩვენი, ჩემი საფურცალი!



ეს სილამაზე

თიბებს მხოლოდ ქარი უწქეწავს, თორემ ჭაღარს მარადეაჟს სიშვიდე ახლავს, ხევი ჰვავს ზოგჯერ ვარვარა თინის, თითქოს მზე ღრუბლის ლავაშებს აჭრავს. მომიხედავოლა ჩანქერის ტანც, წყალგარდნილობა არ იცის დაღლა, რა საჭროა, მგლის მუხლო თუკო, მწვენიერება დააჭრობს აღმართს.

ნანა ჯაპანიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ახალგაზრდა ხალხის ნამდვილ წევრს - ახალგაზრდას გურამ ჰაპუნძიას 70 წელი შეუსრულდა

გურამ ჰაპუნძიმ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის წარმომადგენლებს შეხვედრა დაიწყო საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ლაბორანტი, უფროსი ინჟინერი, ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობებზე.

1973 წელს ჩააბარა საკონსტრუქციო ინსტიტუტის მედიცინის კათედრის დაუსრულებელი სწავლების ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1979 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სოფლის იმერული ტიპის ღვინოების ტექნოლოგიის სრულყოფა“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მის მიერ შემუშავებული ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე გამოშვებული იმერული ტიპის ღვინო „დამის“ სახელწოდებით.

გ. ჰაპუნძი კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ასრულებდა ფართო მასშტაბის კვლევით საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ — თბილისის საწარმოო კომბინატში, რომელიც ერთადერთი ქარხანა იყო და აწარმოებდა ისეთ დეფიციტურ პროდუქტს, როგორცაა ღვინის მჭავა. მისი უშუალო მონაწილეობით წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრესული ნორმების დამუშავება, რომლის დანერგვით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტიანობა იყო ხელშესახებელი.

ასევე გურამ ჰაპუნძის, როგორც მეკვლევის, დამსახურებაა ის, რომ წლების განმავლობაში თბილისის შამპანურ ღვინოებისა და ზესტაფონის ღვინის ქარხნების გაერთიანებაში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას ჭარბი რკინის შემცველი ღვინოების სისხლის ყვითელი მარილი დაშლის დროს ტექნოლოგიის სრულყოფისა და სხვადასხვა ეტაპზე დანაკარგების დადგენის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დამტკიცების თაობაზე.

ასევე გ. ჰაპუნძიმ საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ფართო მასშტაბის სამეცნიერო კვლევით საქმიანობას ეწეოდა მამინდელი მიაკოვსკის, ახლანდელი ბაღდათის, გურჯაანის, მუკუზანის, სამტრედიის ხილკენკროვანი ღვინის ქარხნებში და ა.შ.

1979 წელს ამავე ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ანდრო ნიჭარაძის თხოვნით, გადმოყვანის წესით გურამ ჰაპუნძიმ ინიშნება ამავე ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორად. აქედან იწყება გურამ ჰაპუნძის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერ-ორგანიზატორის ნიჭისა და უნარის საქმიანი თვისებების ამოქვეყნება.

1980 წლის საკავშირო ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიქმნა საკავშირო-



აქტიურად მხარს უჭერდა საკავშირო ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბატონი ვსევოლოდ პენენკოვი. მინისტრის მოადგილემ სამინისტროს სხვა სტრუქტურებთან ერთად გურამ ჰაპუნძის მისცა დავალება, შემუშავებულიყო დასაბუთებული წინადადება ბათუმის ფილიალის ბაზაზე დამოუკიდებელი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის შექმნაზე. რამდენიმე თვის ინტენსიური მუშაობის შემდეგ საფუძვლიანად დასაბუთდა, რომ ბათუმის ფილიალის ბაზაზე დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი უნდა შექმნილიყო.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას — გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად გაიზარდა საქართველოში სუბტროპიკული ნაყოფის წარმოება, უპირატესად კი მანდარინისა. გურამ ჰაპუნძისა და მონაწილე სპეციალისტების მიერ მომზადდა და საკავშირო სამინისტროში წარდგინდა დასაბუთებული წინადადება ბათუმის ფილიალის საფუძველზე დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტის შექმნაზე.

ბატონი გურამ ჰაპუნძიმ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნამდე მომავალი ინსტიტუტის სტრუქტურაზე და გახსნის შემდეგ მნიშვნელოვნად გაზარდული სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქციო თემატიკური გეგმის ფორმირების შესახებ ინტენსიურად ხვდებოდა ისეთ ცნობილ მეცნიერებს, პროფესორებს და სპეციალისტებს, როგორებიც იყვნენ ა. ნიჭარაძე, ი. მეტელიცი, კ. ჯუმუზაძე, გ. მაყაშვილი, ვ. პენენკოვი, ა. ბაგატირიძე, ვ. რაგაიანი, ვ. ლამაჩინსკი, ე. შველიძე და ა.შ.

1981 წელს წარდგენილი დასაბუთების საფუძველზე საკავშირო მეცნიერების, ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური დადგენილებისა და ხილ-ბოსტნეუ-

ის ინსტიტუტის შექმნის შემდეგ საკავშირო სტრუქტურების პასუხისმგებელი პირებისა და სპეციალისტების მონაწილეობით ახლად გახსნილი ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა გურამ ჰაპუნძიმ დაიწყო კვლევითი ინსტიტუტის თანამედროვე დონის სამეცნიერო და ექსპერიმენტული კომპლექსის გეგმის შედგენა. ცხვემა ითვალისწინებდა ინსტიტუტის სამეცნიერო და ექსპერიმენტული კომპლექსის მშენებლობას, მათ შორის, ინსტიტუტის ექსპერიმენტულ-მექანიკური სანარმოს მშენებლობას 50 მეტალსაქურდ ჩარხზე, ექსპერიმენტულ ტექნოლოგიურ სანარმოს 10,0 ათას ტონა სუბტროპიკული და სხვა ხილის სასაქონლო და სამრეწველო გადაშვების სანარმოს და საკუთრივ ინსტიტუტის საინჟინერო-ლაბორატორიული ხუთსართულიანი 8500 კვ.მ. საერთო ფართობის თანამედროვე დონის შენობის დაპროექტებას, აშენებას და ექსპლუატაციაში გაშვებას. საკავშირო სამინისტროს ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნა იყო ქ. ბათუმში ერთ-ერთი სანიმუშო და საჩვენებელი სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული კომპლექსის აშენება.

პროცესის დაჩქარების მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ პარალელურ რეჟიმში ინსტიტუტის საქმიანობა არ უნდა გაჩერებულიყო, დაიწყო ექსპერიმენტული კომპლექსის ეტაპობრივი დაპროექტება და მშენებლობა ქ. ბათუმის ერთ-ერთ ახალ დასახლებაში, სტეფანოვსკის მიკრორაიონში საქართველოს მამინდელი მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილი 5 ჰა მიწის ნაკვეთზე.

ბათუმის ფილიალის ბაზაზე დამოუკიდებელი ინსტიტუტის გახსნის შემდეგ დაიწყო ბატონი გურამ ჰაპუნძის, როგორც მეცნიერ-ორგანიზატორის საქმიანობის სრულიად ახალი ეტაპი. პარალელურ რეჟიმში ხდებოდა, როგორც ექსპერიმენტული კომპლექსის დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესი, ასევე სამეცნიერო და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქციო თემატიკური გეგმების 10-15-ჯერ ზრდა.

ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდისათვის აქტიურად გამოიყენებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში მიზნობრივ ასპირანტურაში სწავლების პრაქტიკა, ასევე ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი თავის საკვალით გამოიყენებდა სამეცნიერო თემებს ამუშავებდა ადგილზე, ინსტიტუტის ცნობილი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მეშვეობით. ინსტიტუტის გახსნიდან მოკლე ხანში ათობით ახალგაზრდა სპეციალისტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ისინი დამოუკიდებლად ასრულებენ სამეცნიერო საქმიანობას, როგორც აღნიშნულ ინსტიტუტში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა კვლევით თუ სასწავლო დაწესებულებაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 80-იან წლებში გურამ ჰაპუნძის უშუალო ხელმძღვანელობით ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქციო საქმიანობის შედეგები იყო იმდენად წარმატებული, რომ ამის შესახებ ხშირად აღინიშნებოდა სხვადასხვა დონის რესპუბლიკურ თუ საკავშირო თათბირზე, კონფერენციასა და შეხვედრაზე. ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები კი არ ჩამორჩებოდა საკავშირო დაქვემდებარების ანალოგიური პროფილის ტრადიციულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, არამედ ბევრ შემთხვევაში სჯობდა მათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინსტიტუტის დირექტორის, აქ მომუშავე ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით თანამედროვე ტექნოლოგიები შემუშავდა, რაც უზრუნველყოფდა სუბტროპიკული ნაყოფის სამრეწველო გადაშვების მოცულობის მკვეთრ ზრდას.

გ. ჰაპუნძისა და ინსტიტუტის სპეციალისტების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან მოკლე დროში შემუშავდა ახალი ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებდა მეორადი ნედლეულისაგან სამედიცინო პრეპარატ ვიტამინ "პ"-ს და პექტინის კომპლექსურ მიღებას. ასევე დამუშავდა ტექნოლოგია და სანარმოს გამოცდა გაიარა ისეთმა ახალმა ტექნოლოგიამ და პროდუქტმა, როგორცაა შაქარში გაჯერებული ხორხობი (კრუპკა), რომელიც გამოიყენებოდა რძისა და ნაყინის წარმოებაში და თავისუფლად ცვლიდა ისეთ ძვირადღირებულ პროდუქტს, როგორცაა ყურძნის ქიმიში.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ხელს უშლიდა დარგის განვითარების ეფექტურობას იყო ის, რომ ნედლი მანდარინის შენახვისუნარიანობა იყო დაბალი. დღის წესრიგში დადგა ნედლი მანდარინის შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით აპრობირებული თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და ახალი მეთოდების დამუშავების აუცილებლობა. ამ მიზნით თბილისის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქიმიის კათედრის პროფესორთან ერთად შე-



მუშავდა ცვილის სამამულე კომპოზიცია, რომლის გამოყენებით მანდარინის შენახვისუნარიანობა იზრდებოდა ერთი თვის ვადით. ასევე ლიტვის რესპუბლიკის მეცნიერთან ერთად წარმატებით იქნა გამოცდილი მიკრობაგაუმტარი ქაღალდის საშუალებით მანდარინის შენახვის უნარიანობის გაზრდა.

ბატონი გურამ ჰაპუნძისა და ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ დღის წესრიგში დადგა ციტრუსის ყვავილის, როგორც არატრანსციენი ნედლეულის გამოყენების შესაძლებლობა. ცნობილია ისიც, რომ ციტრუსის მთლიანი ყვავილის 10 %-მდე გავაძლევს მოსავალს, დანარჩენი იკარგება. მეცნიერების წინაშე გაჩნდა პრობლემა დაუმტვერავი ყვავილის გამოყენების შესახებ. ასევე შემუშავდა ყვავილების შეგროვების, ტრანსპორტირების, შენახვისა და სამრეწველო გადაშვების სრულიად ადგილი და მოსახერხებელი მეთოდი მანდარინის ყვავილის ნედლეულისაგან, რომლის რაოდენობა შეადგენს რამდენიმე ათას ტონას, მიიღება სპეციფიკური არომატის მქონე წყლიანი ექსტრაქტი, რომლის ბაზაზე მზადდება განუმეორებელი გემური თვისებების მქონე ვაჟინი, უალკოჰოლო გაზირებული სასმელები, ხელმოწერილი თაფლი და ა.შ.

მეცნიერების საკითხებში პირველადი ნათლობა გ. ჰაპუნძიმ ინსტიტუტის ცნობილ მეცნიერ გ. ფიშმანთან ერთად მიიღო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე, რომელიც გამართა 1980 წელს ქ. მოსკოვში მამინდელი ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნების ხელმძღვანელებისა და ცნობილი მეცნიერების მონაწილეობით. კონფერენცია მიმდინარეობდა ათი დღის განმავლობაში, სადაც შემუშავდა და დამტკიცდა პერსპექტიული თემატიკური გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად ააბაძლებდა მეცნიერების რეგიონებში ამ დარგის განვითარების პერსპექტივას. ამ შეხვედრაზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტილებები საფუძველად

დაედო ქ. ბათუმში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის გახსნას.

ინსტიტუტის დირექტორი გ. ჰაპუნძი და მისი მოადგილე სამეცნიერო დარგში, ცნობილი მეცნიერი ლ. ლაზოშვილი სხვადასხვა დროს აქტიურად იყვნენ ჩართული კუბის რესპუბლიკის მეცნიერების პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

გ. ჰაპუნძის ინიციატივით 2002 წელს დამუშავდა აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის ალორძინების ვრცელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ვაზის უნიკალური ჯიშების: ჩხავერის, ცოლიკოურის, ალადასტურის, ოჯალუმის და ა.შ. ნერგების გამოყვანას და მის უსაყიდლოდ მიზნდება მოსახლეობაზე. რამდენიმე წლის განმავლობაში ინსტიტუტის მეცნიერებისა და სპეციალისტების ძალისხმევით მოხერხდა 100,0 ათასობით ვაზის სტანდარტული ნერგების გამოყვანა.

პარალელურად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა იმისთვის, რომ აჭარაში გავრცელებული უნიკალური ვაზის ჯიშებიდან დამზადდეს ცქრიალა, სუფრის და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოები.

გურამ ჰაპუნძიმ აქტიურადაა ჩართული და ერთ-ერთი ორგანიზატორია ბათუმ-ლაზოშის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის მეუფე დიმიტრის ინიციატივით მოწყობილი უკვე ტრადიციულ ჩამოყალიბებულ ოჯახში დამზადებული ღვინოების დათვალისწინება-დეგუსტაციის ფესტივალის მოწყობაში.

ყოველწლიურად 150-ზე მეტი ღვინო-კერძო მწარმოებელი მონაწილეობს აღნიშ-

ნულ ფესტივალში. ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალის ითვისების მიზნების მქონეობის საცნობარე ნიშნის გამოშვებას და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარებას. აღნიშნულ ღვინოებში აქტიურად არიან ჩართული ფესტივალის სადგესტაციო კომისიის უკველიანი თავმჯდომარე გურამ ჰაპუნძი, სადგესტაციო კომისიის ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები.

გურამ ჰაპუნძის 28-წლიანი დირექტორობის პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა მეცნიერების, სპეციალისტებისა და მუშა-მოსამსახურეების საყოველთაო მდგომარეობა. მრავალმა თანამშრომელმა მიიღო კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა, პერსონალური ავტომანქანა და ა.შ. გურამ ჰაპუნძიმ 1996 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ციტრუსის ნედლეულის კომპლექსური დამამუშავებისა და სამრეწველო ათვისების ტექნოლოგია“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1997 წელს გ. ჰაპუნძიმ აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად. ამასთან ერთად გ. ჰაპუნძიმ არჩეულია აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრად და მევენახეობა-მეღვინეობის მთავარ მეცნიერ-კონსულტანტად.

1990 წელს გ. ჰაპუნძიმ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში იყო ქედის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და უზუნაქის საბჭოს წევრი. ხელი აქვს მონერლი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. ის ბევრჯერ იყო არჩეული ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. **ნათია ნიკოლაშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი**



რესპუბლიკური ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, სადაც სხვადასხვა სამინისტროდან გადასულ სტრუქტურებთან ერთად ჩამონათვალი შევიდა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალიც. აქედან დაიწყო გურამ ჰაპუნძიმ ფიქრი ფილიალის შემდგომი პერსპექტივის შესახებ. იმთავითვე ცნობილი იყო ერთი გარემოება, რომ ფილიალი ან უნდა გამხდარიყო რომელიმე სხვა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სუბიექტი ან კიდევ მის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, მან მეორე ვარიანტი აირჩია. ამ იდეას

ლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით შეიქმნა ქ. ბათუმში სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადაამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქციო ინსტიტუტი. როგორც ინსტიტუტის დასაბუთებისა და ხილ-ბოსტნეულის კვლევითი ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებები იყო სუბტროპიკული ხილის შენახვის, სასაქონლო და სამრეწველო გადაამუშავების, ტექნოლოგიისა და ტექნიკის საცდელი ნიმუშებისა და ზოგ შემთხვევაში დარგის საჭიროების უზრუნველსაყოფად ცალკეული დანადგარებისა და ტექნოლოგიური ხაზების წერილსერიული გამოშვება-მონტაჟი.

ბატონო გურამ,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით და პირადად, გილოცავთ 70 წლის იუბილეს. თქვენ მთელი შრომითი ბიოგრაფიის დიდი ნაწილი დაუკავშირეთ მეცნიერებას და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეთ მეცნიერული კვლევების განხორციელების ორგანიზაციაში, წარმატებები გქონდათ მეცნიერულ კვლევებში დანერგვითი სამუშაოების განხორციელებაში. თქვენი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული და გამოყენებითი ღირებულებებით. თქვენ შეძელით ჩამოგეყალიბებინათ საკუთარი სტრატეგიული ხედვა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის, შესრულების მეთოდური უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო პოტენციალის მაღალეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებით. თქვენი ინტელექტუალური და პრაქტიკული შემოქმედებითი რესურსები მთლიანად ორიენტირებული იყო და არის მონივნავ ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვაზე აგრობიზნესის სხვადასხვა სფეროში. ნაყოფიერია თქვენი შრომა: განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის გაფართოების, ქვეყანაში და რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების, ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, მეცნიერ მკვლევართა მომზადების საქმეში. თქვენ აქტიურად იბრძოდით და დღესაც იბრძვით ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრისათვის, გაგაჩნიათ საკუთარი ხედვა გასატარებელი ღონისძიებების მიმართ, პირველ რიგში მეცნიერებისადმი სახელმწიფო ხელშეწყობის გაფართოებისა და მეცნიერული პოტენციალის პრაქტიკული გამოყენების სტიმულირებისათვის.



მნიშვნელოვანია თქვენი წვლილი საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის აგრარული კომისიის მუშაობაში, რომლის მიზანია აჭარაში სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების გაფართოება აგრობიზნესში. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კვლავაც დიდ წარმატებებს მეცნიერებასა და ქვეყნის განვითარებისათვის ბრძოლის საქმეში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ბიორბი კვსინიძე

ვულოცავთ ბატონ გურამ პაპუნიძეს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო - ორგანიზატორული საქმიანობის 45 წლის იუბილეს.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამდვილ წევრს, ღვაწლმოსილ მეცნიერს, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და ღირებული, წარმოებაში დასაწარმადი არგუმენტირებული წინადადებების ავტორს, უბაღლო ორგანიზატორ-ხელმძღვანელს, ღირსეულ მამულიშვილს, ვუსურვებთ ჯანს სიმრთელეს, დღეგრძელობას, ახალ მიღწევებს და წარმატებებს სამეცნიერო-შემოქმედებით საქმიანობაში ოჯახთან, კოლეგებთან, ახლობლებთან ერთად.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლექტივის სახელით
გურამ მემბრანი - ინსტიტუტის დირექტორი
მარიამ მებრეპელი - ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონო გურამ,

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის კოლექტივი გულითადად გილოცავთ 70 წლის იუბილეს. თქვენ მიერ განვლილი გზა ნათლად მეტყველებს მეცნიერებაში, განათლებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეულ წარმატებებზე, რითაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეთ და აღიარება მოიპოვეთ ქვეყანაში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მეცნიერების სფეროში შეძელით გამოგემუღავნებინათ მაღალი ორგანიზატორული უნარი და შექმენით მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და საკადრო პოტენციალით, რომლის მეცნიერული კვლევებისა და მათი პრაქტიკული დანერგვის შედეგები დღემდე ინარჩუნებენ გამოყენების პოტენციალს. თქვენი უშუალო ინიციატივითა და ხელშეწყობით შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ხელი შეუწყოს ისეთი დარგების განვითარებას, როგორცაა: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა-მეღვინეობა და რაციონალურად იქნას გამოყენებული წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

დღესაც აქტიურად მუშაობთ ინსტიტუტში და შემდგომშიც ნაყოფიერი იქნება თქვენი შემოქმედებითი შედეგები აგრარული მეცნიერების განვითარებაში.

ინსტიტუტის მთელი შემადგენლობის სახელით გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს სამეცნიერო სფეროსა და პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით, ინსტიტუტის დირექტორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი რაულ ბოცირიძე

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ზურაბ მიქაბაძე

ბატონო გურამ,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივი გულითადად გილოცავთ დაბადების 70 და სამეცნიერო-ორგანიზატორული საქმიანობის 45 წლის იუბილეს.

ღრმავანსწავლულობით, უბრალოებით, პატიოსნებით, სამართლიანობით, ხალხის დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და დაფასებით, ლამაზი და ღრმაინარსიანი ცხოვრებით, დიდი პედაგოგიური ნიჭით, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, ყველასადმი მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულებით თქვენ მოიპოვეთ ავტორიტეტი და საყოველთაო აღიარება.

თქვენი მეცნიერული ინტერესი ჯერ კიდევ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ამჟამად აგრარული უნივერსიტეტი) სტუდენტობის დროს გამოვლინდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მეღვინე სპეციალობის დიპლომით მუშაობა დაიწყო საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელსაც სათავეში ედგა დიდი მამულიშვილი, ინსტიტუტის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი, პროფესორი ანდრო ნიჟარაძე.

აღნიშნულ ინსტიტუტში თქვენი 10 წლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით, განსაკუთრებით გამოვლინდა თქვენი დიდი უნარი შემოქმედებით შრომასა და მეცნიერულ მუშაობაში. სწორედ ამან მოგანიჭათ თქვენ უპირატესობა სათავეში ჩადგომოდათ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალს. აქ გამოვლინდა თქვენი, როგორც მეცნიერის ორგანიზატორული უნარი, ყველაფერი გაგვეკეთებინათ იმისათვის, რომ ფილიალს გასჩენოდა უფრო მეტი სტატუსის მიღების ობიექტური პრეტენზია.

თქვენი მოღვაწეობის დახასიათებისას მარტო ისიც კმარა, რომ ავტორიტეტით და იმ გავლენით, რომელიც თქვენ გაგაჩნდათ დედაქალაქის სამეცნიერო წრეებთან, მიზნის მიღწევისა და დაუოკებელი სურვილით, ბევრი სუბიექტური და ობიექტური ხელშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, შეძელით ფილიალის ბაზაზე სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული-საკონსტ-

რუქტორი ინსტიტუტის ჩამოყალიბება. სიძნელეების გადალახვით, წინააღმდეგობების დაძლევათ გიხდებოდათ თქვენ ინსტიტუტის, კერძოდ, მისი ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორი საქმიანობის მოცულობის და შესაბამისად თანამშრომელთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, რომლის მეცნიერული კვლევებისა და მათი პრაქტიკული დანერგვის შედეგები დღემდე ინარჩუნებენ გამოყენების პოტენციალს.

საყოფადღებოა, რომ წინა ხელისუფლების მიერ განათლებისა და მეცნიერების ხმაურიანი რეფორმების ფონზე, შეძელით შეგენარჩუნებინათ ინსტიტუტის მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და გაგეტარებინათ მნიშვნელოვანი სასიკეთო რეფორმები.

ყველაფერმა ზემოთქმულმა განაპირობა თქვენი გასაოცარი ნივნიერება, ცოდნისაკენ სწრაფვის მრავალმხრივი ინტერესი, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა მეცნიერებათა კანდიდატის, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მინიჭებასა და აღიარებაში, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის.

ბატონო გურამ, თქვენ ყველაფერი რწმენით გიკეთებიათ, რომელიც ეფუძნებოდა არამხოლოდ თქვენი, როგორც პიროვნების შინაგან მოთხოვნილებებს, არამედ ზოგადად ადამიანთა ინტერესებს, ცხოვრების ინსტიტუტს, რამაც წარმატება მოგიტანათ და სულიერი კმაყოფილება მოგანიჭათ. ასე იცის მართალმა კაცმა, კაცმა, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინია.

კიდევ ბევრი გაქვს გასავლელი, სიქველთი აღვცალი დღესაც წარმატებით აბარებ გამოცდილ კაცობაში, ადამიანობაში, სათნოებაში, სიყვარულსა და შემოქმედებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთელი შემადგენლობის სახელით გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს მეცნიერებასა და პირად ცხოვრებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის სახელით, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე



ბატონო გურამ,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლები გილოცავთ 70 წლის იუბილეს. არაფერს ვამბობთ იმ უდიდეს წვლილზე, რაც თქვენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში შეიტანეთ. თქვენ მართლაც „მნიფე ხელის“ პატრონი ბრძანდებით, თქვენივე გარჯით, შემოქმედებითა და ცხოვრებისეული მონაპოვრით. ჩვენ მოკრძალებით, მხოლოდ თქვენს ადამიანურ ღირსებაზე ვაგამახვილებთ ყურადღებას. როგორც იტყვიან, ყველაზე დიდი და ძნელი პროფესია ადამიანობაა. თქვენ ხომ ადამიანობის, კაიკაცობის, ერთგულების, ამაღლებულობის ლამაზი გრძნობით ხართ დაჯილდოებული. უფალმა თქვენ ხომ სიმართლის თქმისა და სიკეთის ქმნის ნიჭიც გიბოძათ. ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება ხომ ერთეულთა ხევედრია. ამ მხრივაც გამორჩეულია თქვენი პიროვნება.

უნებლიედ მაგონდება ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „ადამიანი ტაძრის კედელზე მობატული ფრესკა არ არის, რომ ერთ განზომილებაში უმზირო, ან მოშლო... მას ირგვლივ უნდა შემოუარო და იმ მხრიდან უმზირო, საიდანაც ლამაზია“. ბატონო გურამ, თქვენი სამზერი ყოველმხრიდან ამაღლებულია. ამ ადამიანური ხიბლით დიდხანს გველოთ ქვეყანაზე. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს და დიდხანს გელვანოთ უფლისა და ერის სამსახურისათვის.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი როინ მალაჩხაძე



საქართველოს გეოგრაფიული მეცნიერების კოორდინირებული საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორ ვახტანგ ჯაოშვილი, რომელიც სამართლიანად ითვლება საქართველოში მოსახლეობის გეოგრაფიის ფუძემდებლად, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას ასევე უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის დაფუძნება-განვითარებაში.

ვახტანგ ჯაოშვილი დაიბადა 1914 წლის 10 მარტს, ბაქოს გუბერნიის დაბა ბელაისურში, სადაც მამა შალვა ჯაოშვილი საბაჭოში მუშაობდა. რევოლუციის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადავიდნენ, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ მშობლიურ კუთხეში (ჭიათურის რაიონი), სოფელ ნიგოზეთში, ბაბუსთან იზრდებოდა. იქვე დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა. 1930 წელს ამთავრებს თბილისის პედაგოგიურ ტექნიკუმს და დაწყებითი კლასების მასწავლებლად ინიშნება ჭიათურის რაიონის სოფლებში, იხვეთისა და უსახელოში. 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობით. 1938 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი თბილისის ქალაქის ფაბრიკის დირექტორად დაინიშნა.

ვ. ჯაოშვილმა 1939 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ცნობილ პარტიულ სკოლაში. 1941-1945 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, აქ იგი ოფიცერთა შემადგენლობაში პოლკოვნიკის ჩინით შედიოდა. ოფიცრის მაღალი ჩინის მიუხედავად, ცდილობდა სამოქალაქო სამსახურში გადასვლას. ამ მიზნით ორჯერ მიმართა მოსკოვში შესაბამის სამმართველოს დემობილიზაციის შესახებ, მაგრამ ორივეჯერ უარი ეთქვა. მოგვიანებით, მაინც შეძლო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება.

ვ. ჯაოშვილის ინტერესს სამეცნიერო-კვლევითი სფერო წარმოადგენდა და იგი ამ საქმეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ემსახურებოდა. 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „კერამიკული მრეწველობა საქართველოში“ და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1953 წელს ეკონომიკური მიმართულებით ახალგაზრდა მეცნიერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის, დამარსებელმა და პირველმა დი-



ამ მიმართულებით არაერთ კონფერენციის შრომათა კრებულს რედაქტორობდა და აქვეყნებდა სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულებით აქტუალური მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომებს.

ვ. ჯაოშვილის სამეცნიერო კვლევის მიმართულებას აგრეთვე წარმოადგენდა საქართველოში საქალაქო განსახლების შესწავლა. მისი ავტორობით გამოვიდა მონოგრაფიები ჭიათურაზე, ბათუმზე, ქუთაისსა და თბილისზე. მკვლევრის მიერ ურბანიზაციული პრობლემების კომპლექსური შესწავლა აისახა 1978 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში - „Урбанизация Грузии (Генезис процесса и проблемы)“, რომელმაც სპეციალისტთა შორის დიდი აღიარება მოიპოვა.

მკვლევრის სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფუნდამენტურ

ოდში გეოგრაფიულ საზოგადოებაში არაერთი საინტერესო ღონისძიება, კონფერენცია და სიმპოზიუმი ჩატარდა. აქ თითქმის ყველა კვირაში კითხულობდნენ სამეცნიერო მოხსენებებს და იმართებოდა მსჯელობა გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე, დამოუკიდებელი საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოები რა თემატიკის, სტილისა თუ მეთოდის უნდა ყოფილიყო. ამ საკითხში ბატონი ვახტანგი ყოველთვის მნიშვნელოვანი იდეებით გამოდიოდა და ამტკიცებდა, რომ სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო მარტივი და მოსწავლისათვის გასაგები. დღეს ეს საკითხი, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად გეოგრაფიის სწავლების ხარისხიც დაბალია, და მოსწავლეთა ინტერესი გეოგრაფიისადმი არასაბარბიელოა. ხშირად ამ საკითხის განხილვაში მეც ჩამრთავდა და მთხოვდა, როგორც ყოფილ პედაგოგს, სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ ჩემი აზრი დამეფიქსირებინა.

ბატონი ვახტანგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ატლასის შექმნაში, რომელიც 1971 წელს გამოვიდა. სწორედ ამ

ბიდან ირკვევა, რომ მას ბევრი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არასდროს ჩავარდნილა და მომავალს ყოველთვის დიდი იმედით შეჰყურებდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ ჯაოშვილი იყო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ანდრე ჩარკვიანის, ცოლის ძმა, მაგრამ ეს თანამდებობა და ნაცნობობა მას არასოდეს არ გამოუყენებია.

მე პატივი მერგო ვყოფილიყავი ცნობილი მეცნიერის ბოლო საპირსაუბრო. ჩვენი ნაცნობობა დაიწყო 1987 წელს მისსავე კაბინეტში. უცხო ადამიანი რომ დამინახა, ფეხზე წამოვდგა, გამოემართა ჩემკენ, ხელი ჩამომართვა და მკითხა ვინაობა. მე ვუთხარი, რომ ვიყავი მთიანი აჭარის ერთ-ერთი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი და დაინტერესებული ვახლდით სამეცნიერო მუშაობით. მან კი მითხრა, რომ სურვილი კარგია, მაგრამ ამას სჭირდებოდა დიდი ენერჯია, შრომისმოყვარეობა და შესაბამისი ინტელექტი. აუფხვნი, რომ წარჩინებით დავამთავრე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და მაიძებლობის გზით მინდოდა სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება. მოკლედ, ჩემი პიროვნებით დავაინტერესე. მან მომცა რეფერატიული ხასიათის დავალება, რომელიც დროზე შევასრულე. ამის შემდეგ კვლევის თემატიკა კიდევ უფრო გაართულა და ეს დავალება შეძლებისდაგვარად მოვაშაბადე. მაშინ მითხრა: „თქვენ მართლაც დაინტერესებული ახალგაზრდა ხართ და შეძლებთ მეცნიერული მუშაობის გაგრძელებას“-ო. ამავდროულად მითხრა ისიც, რომ იმ წელს ჩვენს განყოფილებაში ასპირანტურაზე, სადაც ერთი ადგილი იყო, გამოცხადებულ კონკურსში უნდა მიმელო მონაწილეობა, სულ იყო ნ კონკურსანტი. თუ თქვენ ვერ ჩააბარებთ ასპირანტურაში, მე მაინც ავიყვანე მაიძებლად და თანაც გაგიწევთ მეცნიერ-ხელმძღვანელობასო. კონკურსის ჩარჩოებში მითხრა, ჩავიროცხე ასპირანტურაში და ასე დაიწყო ჩვენი ახლო თანამშრომლობა. ბატონი ვახტანგი იყო ძალზე გამოცდილი მეცნიერ-ხელმძღვანელი. თავიდანვე დამიგვება მუშაობის სტილი და მიმართულება. იგი რომ ძალზე პუნქტუალური ადამიანი იყო, იმითაც დაერწმუნე, რომ, როცა დისერტაციის პირველი თავი ჩავაბარე და საახალწლოდ დაგზრდული მობოლოურ კუთხეში და შემდეგ დიდი მშობთ მოვიკითხე დისერტაციის ავტორიანობა, გავოცდი, რომ, ნაშრომი ვაცნობებინა იმავე დღეს. მითხრა, რომ მუშაობა ასე გამეგრძელებინა. მისივე დახმარებით ასპირანტურის ვადაში, 1992 წლის იანვარში, ამიერკავკასიის სადოქტორო სამეცნიერო საბჭოზე დავიცავი სამეცნიერო დისერტაცია.

ბატონი ვახტანგი იყო გულისხმიერი ადამიანი. იმ პერიოდისათვის (1988-1991 წწ.) ჩვენს ქვეყანაში ჭირად ცხოვრება. ხშირად მეკითხებოდა თუ რა პრობლემები მახუხებდა და ოჯახშიც მპატიჟებდა. მე კარგად ვიცნობდი მისი ოჯახის ყველა წევრს:

ახალგაზრდა მეცნიერების პროგრესის დახმარების 100 წლისთავი

**„მეცნიერება და ხელოვნება ისევე აუცილებელია ადამიანებისათვის, როგორც სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელი, დასახურავი, წარმოიდგინეთ უფრო მეტადაც კი...“
ლევ ტოლსტოვი**

გიური ნაშრომი საბჭოთა კავშირში ამ მიმართულების პრობლემის კვლევის სფეროში არ იყო. სწორედ ამ მონოგრაფიაში უდიდესი დამსახურება მოიპოვა, რის გამოც საკავშირო გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ავტორი 1970 წელს პ. სემიონოვი-ტიმანსკის სახელობის ოქროს მედალით დააჯილდოვა.

პროფესორი ვ. ჯაოშვილი სამართლიანად ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლის წამყვან სპე-

ციონარად. ვ. ჯაოშვილის მოსახლეობა XVII - XX საუკუნეებში (1994) და „საქართველოს მოსახლეობა“ (1996), რომლებშიც განხილულია ამავე ქვეყნის მცხოვრებთა დინამიკის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ამავედროულად შეფასებულია თანამედროვე დემოგრაფიული პროცესები და მათი ადგილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესში.

მეცნიერს დიდი დამსახურება მიუძღვის საშუალო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოების შექმნაში. იგი ამავე დროს იყო საშუალო სკოლების სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი. მას დიდი პოპულარობა მოუტანა 1983 წელს ქართულ ენაზე უმაღლესი სკოლის პირველი სახელმძღვანელოს - „მოსახლეობის გეოგრაფიის“ გამოქვეყნებამ. სწორედ ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით გაიზარდა არაერთი ქართველი მეცნიერი, რომლებიც მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევაში იყვნენ დაინტერესებულნი.

მკვლევრის დამსახურებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მისი ავტორობით 1993 და 1996 წლებში შეიქმნა უმაღლესი სკოლების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, როცა მანამდე დამოუკიდებელი სახელმძღვანელოები არ არსებობდა.

ვ. ჯაოშვილი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორგანიზაციული ნიჭითა და უნარით. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გეოგრაფიის ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებას. 1971 წლიდან იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1980-1996 წლებში - ამავე საზოგადოების პრეზიდენტი. ამ პერი-

დამსახურებისათვის, სხვა ავტორებთან ერთად, მიენიჭა მეცნიერების დარგში სახელმწიფო პრემია, ხოლო 1979 წელს - მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პრემია. 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამავედროულად, იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო არაერთი სადი-სერტაციო სამეცნიერო საბჭოს წევრი. იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის გეოგრაფიულ მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარე.

გამორჩეული ადამიანები ყოველთვის ცდილობენ მათ მიერ განვლილი ცხოვრების



საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების VII ყრილობის დელეგატები. ვ. ჯაოშვილი და ცნობილი პოლარული მკვლევარი, ორგზის გმირი ივანე პაპანინი, ფრუნზე, 1980 წ.

რექტორმა აკადემიკოსმა, ალექსანდრე ჯავახიშვილმა, ინსტიტუტში სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულების და მოსახლეობის გეოგრაფიის განვითარების მიზნით მოიწვია საშუაოდ, სადაც სიკვდილამდე, 1996 წლამდე, ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა.

ვ. ჯაოშვილის კვლევის ძირითადი მიმართულება მოსახლეობის გეოგრაფია და ურბანიზაციული პროცესები იყო. 1966 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია (ძირითადი პრობლემები)“ და მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულებით პირველი მეცნიერებათა დოქტორი იყო. მისი გამოკვლევების აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1968 წელს გამოცემულა „მეცნიერებათა მონოგრაფია - „Население Грузии“ (Экономико-географическое исследование)“ გამოაქვეყნა. მონოგრაფია გახლავთ საქართველოში მოსახლეობის კომპლექსური შესწავლის პირველი ცდა, რომელშიც მიზნულ-შედეგობრივ კავშირში განხილული იყო საქართველოს მოსახლეობის დინამიკის, დემოგრაფიული პროცესების, მოსახლეობის განლაგების და განსახლების ძირითადი საკითხები. ანალო-

ცილისტად. იგი იყო არაერთი ექსპედიციის ხელმძღვანელი საფრანგეთის ალპებში, ბალკანეთის მთებში, კარპატებში, ჩრდილო კავკასიის მთებში, შუა აზიისა და სხვათა რეგიონებში. საველე ექსპედიციების მასალების საფუძველზე მრავალ კონფერენციასა და სიმპოზიუმს ხელმძღვანელობდა. იგი იყო ორგანიზატორი და სულსაჩამდგმელი 1979 წელს თბილისში ჩატარებული IV საკავშირო კონფერენციისა მოსახლეობის გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე. ამასთან,



ვ. ჯაოშვილი, მსოფლიოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი ჟან დრემი, გ. ცავარელი, დ. უკლება. 1977 წ.



საქართველოს სახელმწიფო პრემიის 1971 წლის ლაურეატები: თ. დავითაია, ა. ასლანიკაშვილი, ვ. ჯაოშვილი, ლ. ვლადიმეროვი, გ. გველეხიანი.

გზა საზოგადოებისათვის საინტერესო იყო, რათა მომავალ თაობას დაუტოვონ ცხოვრების ძირითადი წესი, რომ ადამიანი შრომისმოყვარეობით, მიზანმიმართული ქმედებით, მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებით, ადამიანებს შორის ურთიერთდაფასებითა და პატივისცემით დიდი წარმატების მიღწევას შეძლებს. ამის დასტურია ჯაოშვილის დღიურები, რომლებიც მოიცავს მისი ცხოვრების ძირითად მომენტებს. მოგონებებში დიდი პატივისცემით იხსენებს ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მასზე დიდი ამაგი და მზრუნველობა გამოიჩინეს. დღიურები იმდენად აკადემიურ და მხატვრულ დონეზეა დაწერილი, რომ აქ ჩანს იმდროინდელი საქართველოს, განსაკუთრებით, ზემო იმერეთის ყოფა-ცხოვრება. ამასთან, მას ჰქონდა თავისებური შეხედულებები დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების შესახებ. ნარსულის გახსენება (მოგონებები) ცალკე ნიგნად გამოვიდა 2011 წელს, რომლის პრეზენტაცია თავისმა ქალიშვილმა, დარეჯან ჯაოშვილმა, გააკეთა. დღიურე-

მეუღლეს - ქალბატონ რუსუდან ჯავახიშვილს, ვაჟიშვილს - განსვენებულ პროფესორ შალვა ჯაოშვილს, რძალს - მანანა ნარსიას, ქალიშვილს - მანანა ჯაოშვილს, შვილიშვილებს - გიორგი და ვახუშტი ჯაოშვილებს.

მე დიდი პატივისცემით ვიხსენებ დიდებულ ქართველს, კეთილშობილ ადამიანს და დიდ მეცნიერს, რომელმაც ახალგაზრდა მთელ კაცს ცხოვრება მთლიანად შემიცვალა და დამაყენა ცხოვრების იმ გზაზე, რომელითაც ვიყავი დაინტერესებული. სწორედ მეცნიერის ვალაია, ალზარდოს თავისი გზის გამაგრებელი ახალგაზრდა თაობა. ცოდნა საინჟინერო და რაკეტული მექანიკის დარგში, მით უფრო დაფასდება მეცნიერის ცხოვრება და ღვაწლი. რა თქმა უნდა, მე შეძლებისდაგვარად მის მიერ გაკვდილ გზას ვაგრძელებ და ჩემს სტუდენტებსაც ვეუბნები, რომ მიზნის მიღწევა შრომისმოყვარეობით და სწორად დაგეგმილი ქმედებითაა შესაძლებელი.

გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მირაზ ვაშტაძე.



რეცენზია წიგნზე

„ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა)“

თბილისის გამომცემლობა „ივერიონმა“ 2013 წელს გამოსცა ბათუმელი ისტორიკოსების კოლექტიური ნაშრომი „ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა)“, რომელიც მიეძღვნა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135-წლისთავს (1878-2013 წ.)

წიგნის ავტორები არიან პროფესორები: რევაზ უზუნაძე, რამაზ სურმანიძე და ნუგზარ ზოსიძე. მკითხველისათვის მათი გაცნობა ზედმეტად მიმარჩნია, რადგან ისინი საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები არიან თავიანთი: შრომისმოყვარეობით, მოქალაქეობრივი, ეთიკური, ზნეობრივი, ადამიანური თუ ეროვნულ-პატრიოტული თვისებებით, ნაყოფიერი სასწავლო-პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის გამოცდილებით, საზოგადოებრივი საქმიანობით, ობიექტურობით, მეცნიერული ნაშრომებით და სხვა ღირსებებით.

ნარმოდგენილი ერთობლივი ნაშრომი მათ შემოქმედებაში ერთ-ერთი, ალბათ ყველაზე გამორჩეული წიგნი მგონია, რამე თუ ბათუმზე დაწერილი წიგნი, რომელშიც მისი 25 საუკუნინანი ისტორია და თანამედროვეობა ერთად, მონოგრაფიულად ნარმოდგენილი იყოს, არ შეგულება.

ნაშრომის მალაქვალეფიციურობაზე, აკადემიურობაზე და მეცნიერულ ღირებულებებზე მითითებებს აკრთვე წიგნის რედაქტორის (ბატონ ამირან კახიძე — საყოველთაოდ აღიარებული არქეოლოგი, აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის დამფუძნებელი და უცვლელი დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) და რეცენზენტების (ანალოგიური მეცნიერული ტიტულებით — ბატონები: თამაზ ბერაძე, ირაკლი ბარამიძე, ოთარ გოგოლიშვილი) სამეცნიერო ცენზებიც.

ნარმოდგენილი ნაშრომის დასრულის ძირითადი მიზანი თუ მთავარი მოტივაცია ნათლად ჩანს ეპიგრაფად ნამძღვარებულ ერის მოძღვარის, დიდი ილიას ბრძოლულ სიტყვებში: „აღდგენა ისტორიისა ერის გამოფხიზლებაა, ანმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამოკვლევა სიძნელისაგან“.

წიგნი იმდენად საინტერესოა, რომ გასული წლის 4 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტმა (ხელმძღვანელი ე.მ.აკარაძე) და სამეცნიერო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ (დირექტორი ნ.თურმანიძე) მოაწყვეს ნაშრომის საჯარო წარდგენა მკითხველთა წინაშე. წიგნით დაინტერესებაზე მიგვანიშნებდა აგრეთვე ხალხმრავალი დარბაზი, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, შეიკრიბნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები და აჭარის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც მიესალმნენ ღონისძიების მონაწილეებს და მაღალი შეფასება მისცეს ბათუმის ისტორიაზე პირველი მონოგრაფიული ნაშრომის გამოცემას და მის ავტორებს, ასევე მკითხველის წინაშე წიგნის საჯარო წარდგენას.

ამ ღონისძიებაზე, სხვებთან ერთად, მეც მიმინვეს, რისთვისაც მაღლობას მოვასხენებ ავტორებსა და ღონისძიების ორგანიზატორებს. გამოვთქვი ჩემი აზრი წიგნთან დაკავშირებით. ამჯერად კი მინდა გავიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებები.

რა შეიძლება ითქვას წიგნის სათაურზე? — გონივრულად ნაფიქრი და მეცნიერულად გააზრებული სათაური წიგნისა „ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა)“, რაც ადეკვატურია ავტორთა კოლექტივის მიერ შესრულებული, თუ განუვლი შრომისა. ეს კი უფრო დაკონკრეტებულია ნაშრომის ბოლოში დართულ სარჩევში, სადაც ვგებულობთ, რომ ნაშრომის ისტორიული ნაწილი (გვ. 5-96) ეკუთვნის პროფესორ რევაზ უზუნაძეს, რომლის კვლევის სფეროა ბათუმის ისტორია (ამ პრობლემასტიკას მიეძღვნა მისი 10-ზე მეტი ნაშრომი, სტატია.) ხოლო ბათუმის თანამედროვეობაზე სხვადასხვა საინტერესო მასალები წარმოადგინეს პროფესორებმა: რამაზ სურმანიძემ და ნუგზარ ზოსიძემ.

ნაშრომი შედგება შესავლისა და 12 ძირითადი ნაწილისაგან. წიგნის შესავალი ასე იწყება, „ბათუმი იმ იშვიათ ქალაქთა რიგს ეკუთვნის, რომელსაც უწყვეტი საქალაქო ცხოვრების 2500 წლიანი ისტორია აქვს და დღესაც ერთ-ერთი წარმატებული ქალაქია“. აქვე განმარტებულია ნაშრომის დაწერის მიზანი და სტრუქტურა. ნათქვამია, რომ ბათუმის საქალაქო დასახლების განაშენიანება-განვითარების ისტორია ორ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდი იწყება დაახლოებით ძვ.წ.აღ. V საუ-

კუნიდან და გრძელდება XVIII საუკუნემდე და მოიცავდა ბათუმის თავდაპირველ საქალაქო დასახლებას მდ. ყოროლისწყლის შესართავს და მიმდებარე ვრცელ ტერიტორიას. ხოლო მეორე პერიოდი ქრონოლოგიურად XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე იწყება და გრძელდება დღემდე. ამ პერიოდს უკავშირდება ძველი ბათუმიდან საქალაქო დასახლების გადანაცვლება-გაფართოება დღევანდელი ბათუმის ყურეს გარშემო მდებარე ტერიტორიაზე.

შესავალში აღნიშნულია ასევე, რომ ბოლო დრომდე მიმდინარეობდა მხოლოდ ბათუმის წარსულის ცალკეული მონაკვეთების შესწავლა. იგი მოიცავს ძირითადად ანტიკურ ხანას (აკახიძე, დ.ხახუტაიშვილი, ა.ინაიშვილი, ნ.ვაშაკიძე, შ.მამულაძე) და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 70-იანი წლების შემდგომ პერიოდს

რამაზ უზუნაძე, რამაზ სურმანიძე, ნუგზარ ზოსიძე



BATUMI • БАТУМИ

(ვლ.სიჭინავა, ჯ.ჩხეიძე, ვ.ჯაფარიძე, აბ სურგულაძე, მ.სიორიძე, ალ.ბენდანიშვილი, ო.გოგოლიშვილი, რ.უზუნაძე). ხოლო ფეოდალური ხანისა და ოსმალთა ბატონობის პერიოდი დღემდე თითქმის ბურუსით იყო მოცული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ი.სიხარულიძის, რ.უზუნაძის ი.ურუმუძის ამ წიგნის ბიბლიოგრაფიაში დასახელებულ ნაშრომებს. მასაშასა-დამე, ბათუმის ორი ათას ხუთას წლიანი წარსული და თანამედროვეობა მთლიანობაში დღემდე არ გამზდარა სპეციალური შესწავლის საგანი.

ამ ფონზე, — წერს ავტორი შესავალში, — ლალადად ან ანდერძად შემოგვრჩა ცნობილი მწერლის და აღიარებული ჟურნალისტის, ლირსული ბათუმელის ან განსვენებული ნუგზარ ჯაფარიძის მხატვრული ქმნილება: „მოგზაურობა ბათუმში“, რომელშიც იგი გულსიტყვილით წერს: „ბათუმის წარსული დაჩუქერულია საუკუნოვან შრებში“. ასე ამბობს, მაგრამ გულს არ იტყვს, მომავლის ღრმა რწმენით ხმამალა გვმოძღვას: „დადგება დრო, ვისაც ღმერთი მისცემს ძალმოსილებას, განძის მაძიებლის სიჯიუტეს, გამზედობას და ბათუმის ათასწლიან მატანეს ნათელს მოჰფენს.“

სხვაანაირად, აბა რა აზრი აქვს ცხოვრებას, თუ შენი ისტორია, შენი საამაყო წარსული არ იცი.

ვეძებთ, გამოვარინოთ ჩვენი ძველი და ახალი ისტორიის ფურცლები. ეს ვალდებულება კი არა, ჩვენი ვალია“ - წერდა უკვდავებაში გადასული მწერალი ნუგზარ ჯაფარიძე.

დღეს კი უნდა ჩავსაძახოთ ნუგზარ ჯაფარიძეს სასუფეველო და ვაუწყოთ, რომ დადგა მისი ნაწარტი დრო. უფლის ნებით გამოჩნდნენ ძალმოსილების მქონე მეცნიერ-მკვლევარები, რომლებმაც ეძებეს, გამოაჩინეს ჩვენი ქალაქის ძველი და ახალი ისტორიის ფურცლები, ბათუმის 2500-წლიანი ისტორიის ნათელი მოჰფინეს.

კოლექტიურ ავტორთა წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ისტორიული მისიის რეალიზაციის პირველი რეალური, საიმედო, საყრდენი და პერსპექტიული ცდაა. მნამს, მომავალი თაობა მათ ამაგს სათანადოდ დააფასებს.

შესავლის შემდეგ მოკლე, ზოგადი ცნობებით დახასიათებულია ძველი და ახალი ბათუმის ლოკალიზაცია, მისი ფართობი, მოსახლეობა,

გეოსტრუქტურული მდებარეობა, დემოგრაფიული სურათი, კლიმატური პირობები, ფლორა, ფაუნა, მისი სავაჭრო, საპორტო და სანაოსნო დანიშნულება.

ბათუმი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მარგალიტია. იგი თავისი „ბათუმობით“ მსოფლიოში საინტერესო ქალაქთა შორის მოაზრება. მისი როლი, გეოსტრატეგიული ფუნქცია დღითი დღე უფრო იზრდება.

ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის მნიშვნელობის წარმოსაჩენად წიგნის ისტორიული ნაწილის ავტორს მოჰყავს ცნობილი ქართველი მამულშვილის ნ.ნიკოლაძის სიტყვები, რომ „ისტამბულის და სეფასტოპოლის გარდა მთავრად ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არ აქვს.“ ჩვენ კი დავამატებთ, რომ ეს კარგად შენიშნა თავის დროზე მეფის რუსეთის მთავრობამაც მავ ზღვაზე საპორტო ადგილების შემონახვისას. დასკვნა გაკეთდა ბათუმის პირველობაზე სეფასტოპოლს აქეთ და დაიწყეს ბათუმში საზღვაო პორტის მშენებლობა-გაფართოება, 1988 წელს ბათუმს თანამედროვე ქალაქის სტატუსი მიენიჭა. მეფის რუსეთის მმართველობის დროს ბათუმის პორტი შედიოდა ოდესის საზღვაო სამმართველოში. საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ბათუმის პორტი გამოეყო ოდესის საზღვაო სამმართველოს და შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვაო სანაოსნო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენი ვიყავით „ოკუპირებული“ „ოკუპანტმა“ შეასრულა „ოკუპირებულთა“ თხოვნა.

სამწუხაროდ, ქვეყნის საუბედუროდ, როცა სისხლის ფასად მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაშინ ეროვნული ადმინისტრაციამ გააუქმა ძვირფასი მონაპოვარი - საქართველოს საზღვაოსნო. სამარცხვინოდ, დიდი ხნის დავა იყო იმის გასარკვევად და დასადგენად, თუ სად უნდა ყოფილიყო საზღვაო სანაოსნო ადმინისტრაცია ბათუმში (როცა შეიქმნა, ადმინისტრაცია იყო ბათუმში) ზღვასთან, თუ თბილისში, ზღვიდან 400 კმ-ზე. ხანგრძლივი „გამიძვინა-დამაკავს“ შემდეგ სანაოსნოს 56 გემი „ქარიშხალმა შეშტაცა“ და საზღვაოსნოც გაქრა. ამ სიტუაციას არ ესადაგება წინაპართა სენტენცია „როცა გვაქვს, არ ვაფასებთ, დაკარგავთ და ვნაობთ“.

ვფიქრობთ, შავი ზღვა რომ თბილისთან ყოფილიყო ან ხელისუფლებაში ეროვნული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები მოსულიყვნენ, საქართველოს საზღვაო სანაოსნო დღესაც იქნებოდა.

იმედია, ახალი ხელისუფლება დაინტერესდება ქვეყნისათვის მეტად საჭირო რესურსის გამოყენებით, სიბრტლესთან ერთად, აღადგენს საქართველოს სანაოსნოს და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩააყენებს ამ ძვირფას კაპიტალს.

ნარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩათვალოს ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს, თუ არა მთლიანად, ძველი ბათუმის ადგილმდებარეობაზე წარმოადგენა არ აქვს. ამ წიგნით, როგორც ზემოთ ითქვა, ყველა გაიგებს, რომ ძველი ბათუმი გაშენდა მდ. ყოროლისწყლის მიდამოებში სალიბაურის ჩართვით ძვ.წ.აღ. V საუკუნეში, ხოლო XVIII საუკუნემდე თანდათანობით გადაინაცვლა ჩრდილო-აღმოსავლეთით. გაფართოვდა და მიიღო დღევანდელი სახე.

წიგნის ისტორიულ ნაწილს ახლავს ბათუმის და მის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული ძველი ბერძნული, რომაული და სასანური მონეტები, აგრეთვე დ.ხახუტაიშვილის და სხვა ავტორების მიერ შედგენილი რუკები.

ნაშრომის მეორე ნაწილში საუბარია ქალაქის თანამედროვეობაზე. უნდა ითქვას, რომ ავტორები საინტერესოდ ახასიათებენ ბათუმის ცხოვრებას პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (წ.ზოსიძე) (გვ.83-95), ბათუმში საბჭოთა მმართველობის ეპოქას (რ.უზუნაძე, რ.ზოსიძე), (გვ.96-109); პროფესორმა რამაზ სურმანიძემ წარმოადგინა ცნობილი ბათუმის უახლესი წარსულიდან (1990-2010 წწ.) (გვ.110-118); ინტერესით იკითხება მისივე, ცნობილი ადამიანების გამოანათქვამები ბათუმზე (გვ. 119-137). წიგნის ბოლო ქვეთავში იგივე ავტორის მიერ დახასიათებულია „ბათუმის ღირსშესანიშნაობანი“ (ბათუმის ქუჩები, ქალაქ ბათუმის ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლთა სია, ქალაქის მწვანე საფარი, წურის ტბა და ბაღი, ბათუმის ბულვარი, ბოტანიკური ბაღი) (გვ.138-159).

ვფიქრობთ, საინფორმაციო-საცნობარო მასალები დიდად მიიზიდავს და გაახარებს ქალაქის ისტორიით დაინტერესებულ სტუმრებს, ტურისტებს, მოგზაურებს, დამსვენებლებს, რომლებიც ჩამობრძანდებიან და გაეცნობიან ქალაქის ისტორიულ ადგილებს და მის ბუნებას, ღირსშესანიშნაობებს.

წიგნის შესავალში ნათქვამია, ჩვენც მხარს ვუჭერთ და დავამატებთ, რომ ბათუმის ტურისტულ ქალაქად და აჭარის ტურიზმისა და დასვენების ზონად, ჯანმრთელობის გაუმჯობესება-გაკაუების კერად გადაქცევის პერსპექტივასთან დაკავშირებით ეს და მისი მსგავსი ნაშრომები სტუმრებს მისცემს შესაძლებლობას, გაეცნოს საქართველოს თვალმარგალიტსა და სატრანსპორტო ჭიმკრის, ბათუმის მრავალსაუკუნოვან წარსულსა და თანამედროვეობას.

წიგნს ღირსებას ჰმატებს ვრცელი რეზიუმეები ინგლისურ (გვ. 160-171) და რუსულ (გვ.172-184) ენებზე. წიგნის ბოლოს დართულია ბიბლიოგრაფია 175 დასახელების ლიტერატურით (გვ.221-228). ნაშრომი ილუსტრირებულია ქალაქის წარსული და თანამედროვე ყოფის ამსახველი ფოტოებით.

ჩვენი აზრით, ნაშრომი უფრო უკეთესი იქნებოდა ანალოგიური რეზიუმეებით, თურქულ ენაზეც რომ ყოფილიყო, რადგან თურქული ბოლოსდაბოლოს გაიგებენ ბათუმის ჭიმკრის ისტორიის და არ აწყვენიან პროვოკაციებს. აი რა სჭირდება კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

ვიტყვი და ვისურვებდი, რომ წიგნი რომელიც ქალაქის, მხარის თუ ქვეყნის სავიზო ბარათს წარმოადგენს, უნდა დაინეროს რა თქმა უნდა პირველ რიგში, მშობლიურ ენაზე და პარალელურად უნდა ითარგმნოს საერთაშორისო ენებზეც.

ვიტყვი აგრეთვე იმასაც, რომ სარფის საბაჟოს კარის გახსნის შემდეგ ქ. ბათუმის, როგორც საპორტო, საჰაერო სატრანსპორტო ქალაქისა და ქვეყნის ჭიმკრის პოტენციალი უფრო გაიზარდა, ბათუმი, აჭარა აზია-ევროპა და სხვა კონტინენტების დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნად გადაიქცა. ჩვენ ყველაფრით და მათ შორის ინტელექტუალური საშუალებებითაც მზად უნდა ვიყო სტუმრებისათვის მასპინძლობის გასანევადა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი დაწერილია გამართული ქართულით, იკითხება საინტერესოდ, შედგენილია მრავალფეროვანი წყაროებისა და ლიტერატურის (ქართული თუ უცხოური) საფუძველზე და წარმოადგენს ავტორების, პროფესორების: რევაზ უზუნაძის, რამაზ სურმანიძის და ნუგზარ ზოსიძის ერთობლივი, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგს. იგი მეცნიერულად და აკადემიურად სრულყოფილი ნაშრომია. გვჯერა, ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტებს, ასპირანტებს, ისტორიის მკვლევარებს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, იქნება ქალაქის სავიზო ბარათი, უხვად მიიზიდავს დამსვენებლებს არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

წინამდებარე ნაშრომი „ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა)“ სამი ავტორის მიერ კეთილსინდისიერებით შესრულებულია. ბათუმის 25 საუკუნინანი ისტორიის, მათი წარსულისა და თანამედროვეობის ერთად მონოგრაფიულად, მეცნიერულ დონეზე წარმოდგენა პირველი, გაბედული გამართლებული და შედეგიანი ნაბიჯია. იგი ვსებს ჩვენი ქალაქების, საქართველოს, მათ შორის აჭარის ისტორიის ხარვეზებსა და ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძნია.

თუ ნაშრომს შევავსებთ ხატოვნად, ვიტყვით, ეს წიგნი არის უგზობის პირობებში გაყვანილი გზა-ბილიკი დანიშნულების პუნქტამდე. ეს უსათუოდ, დიდი საქმეა, მაგრამ გზის მშენებლობის დასაწყისია. ამოცანად რჩება ავტორების მშენებლობა. ამ გზა-ბილიკის გამოყენებით ავტორებმა, სხვა დაინტერესებულ მეცნიერ-სპეციალისტებთან ერთად უნდა იფიქრონ ავტობანის გასაყვანად; მეცნიერულ ენაზე კი ეს ნიშნავს; ავტორებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა დიდი და ფართო პერსპექტივების მქონე ქალაქ ბათუმის ისტორიის მრავალტომულის დასაწერად და მკითხველზე მისაწოდებლად. ამით ფასდაუდებელ წვლილს შეიტანენ ქართული ისტორიოგრაფიაში.

სერგო ღუმუზაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი



შავი ზღვა — პტომლომები და პეტსპიციფები


ბოსფორის სრუტის ზედა დინების მეშვეობით შავი ზღვის მარილიანი წყალი (18 პრომილე) ჩაედინება მარმარილოს ზღვაში, დაახლოებით 348 კვადრატული კილომეტრი წელიწადში, ხოლო გაცემული წყლის კომპენსაცია ხდება ქვედა დინების მეშვეობით — 202 კვადრატული კილომეტრის მოცულობით, რომელიც შემოდის იმავე გზით და ბოსფორის სრუტესთან ახლოს ავსებს დიდ ხილრმეებს.



შავი ზღვის წყლის დონე უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მერყეობს 32,5 სმ-ის ფარგლებში, შეიმჩნევა სეზონური მერყეობა 15 სმ-დან 27,5 სმ-ის ფარგლებში. მარმარილობა ზედაპირზე შეადგენს 16-18 პრომილეს, ხოლო 200 მეტრის ქვემოთ კი ის 22-23 პრომილეს აღემატება.

ჟანგბადის გავრცელების საზღვრის ქვევით (150მ) შავ ზღვაში მხოლოდ ანაერობური ბაქტერიები გვხვდება, რომელთაცაა დაკავშირებული ზღვის ღრმა ნაწილებში გოგირდჟანგბადის არსებობა. თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ გოგირდჟანგბადის კონცენტრაცია 200 მეტრის ქვემოთ 7 კუბური სანტიმეტრი მოვიდა ერთ ლიტრზე, ბოლო მონაცემებით ის თანდათანობით ზემოთ იწევს და 120 მეტრის ქვემოთ 4 კუბური სანტიმეტრი ერთ ლიტრზე მოდის, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს და ამცირებს ბიოსფეროს სასიცოცხლო საზღვარს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნის ბოლოს გოგირდჟანგბადის დონე წყლის ზედაპირზე კრიტიკულ დონეს მიაღწევს, თუ შავი ზღვის ეკოლოგიური გაჯანსაღება არ მოხდება, რისთვისაც საჭირო იქნება პრევენციული ღონისძიებების ჩატარება არამარტო საქართველოს მიერ, არამედ მასში უნდა ჩაერთონ ევროპის წამყვანი ქვეყნებიც.

შავი ზღვა ჩვენი პლანეტის ოკეანეთა სისტემაში გამოირჩევა უნიკალობით. მას სამართლიანად ადარებენ ახლო აღმოსავლეთში მდებარე მკვდარ ზღვას. შავი ზღვის ჟანგბადიანი არე (100-120 მ.) იმდენად მდიდარია ბიორესურსებით, რომ ის აღემატება ხმელთაშუა ზღვის მარაგს. შავ ზღვაში 170-მდე სახეობის თევზი ბინადრობს, რომელთა შორის 27 სახეობა წარმოადგენს პონტოს ზღვის დროინდელ რელიქტს, 90



შავი ზღვის მარაგული

სახეობის თევზი უშუალოდ ზღვის ბინადრია, დანარჩენი კი ატლანტიკური ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის ინტროდუცენტია. შავ ზღვაში 20-მდე სახეობის სარეწი თევზი ბინადრობს, რომლის რენესანსაც ოდითგანვე ეწეოდა ქართველი ხალხი და მათი ეკონომიკის განმსაზღვრელიც კი იყო. სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ქვეყანას ჰყავდა ერთ-ერთი უძლიერესი ფლოტი, რომელიც რამდენიმე გემისგან შედგებოდა და თევზის რენესანსს არამარტო საქართველოში აწარმოებდნენ, არამედ შორს ოკეანეთა სისტემაში და უდიდესი შემოსავალი მოჰქონდათ ქვეყნისათვის. დღეს კი, შავ ზღვაში თევზჭერა ლიცენზირებულია და ისიც მხოლოდ კერძო პირებისთვისაა მისაწვდომი. ვფიქრობთ, აქ სახელმწიფომ გადაამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას, რათა ეს მომგებიანი დარგი რენტაბელური გახდეს.

შავ ზღვაში იხთიოფუნის გარდა ბინადრობენ უძველესი ძუძუმწოვარი ცხოველები, დელფინები, კერძოდ: აფალინები, ზღვის გოჭები ანუ აზოვეკი და თეთრგვერდა დელფინები, რომლებიც რელიქტებია, არიან ინდიკატორები და უდიდეს როლს თამაშობენ ზღვის გაჯანსაღებაში. 1983 წლამდე შავი ზღვის ქვეყნები დელფინებს რენავდნენ, რამაც უდიდესი ზი-

ანი მიაყენა მათ პოპულაციას, საგრძნობლად შემცირდა მათი რაოდენობა, რის გამოც შავ ზღვაში დელფინების რენვა იკრძალება და მკაცრად აკონტროლებენ.

შავ ზღვაში ძუძუმწოვარ უძველეს ცხოველთა შორის ყურადღებას იპყრობს თეთრმუცელა სელაპი, რომლის შესახებაც მეტად მწირი მონაცემები არსებობს. დაუდგენელია მისი ადგილსამყოფელი, უცნობია რაოდენობა (ვარაუდობენ, რომ შავ ზღვაში სულ ხუთამდე ინდივიდი ბინადრობს), გაურკვეველია მათი სქესთა თანაფარდობა და საერთოდ, კვლავწარმოების საკითხი. ის გადაშენების გზაზე დგას, რაც განგაშს იწვევს ფაქტობრივად. მათი სიცოცხლე მთლიანად დამოკიდებულია ზღვის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან. როგორც კი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა უარესდება, ის იწვევს პლანქტონური ორგანიზმების სიკვდილს და მილიონობით ბიომასა ილექება ზღვის ფსკერზე — გრუნტში, რაც დროთა განმავლობაში გოგირდწყალ-ბადის წარმოქმნის საფუძველი ხდება, ამიტომ ზღვის გაჯანსაღებისთვის ზრუნვა არა მარტო ერთი ქვეყნის, არამედ მთელი ევროპის მოსახლეობის ვალია.

იმის გამო, რომ შავ ზღვას უჭირავს სტრატეგიული ადგილი-10 ქვეყნის დამაკავშირებელი სივრცე და ასრულებს ევროპის უმეტესი ქვეყნების სასიცოცხლო არტერიის როლს, მისი შესწავლით ანტიკური პერიოდიდან იყვნენ დაინტერესებულნი, კერძოდ: ჰეროდოტე (ჩვენს ერამდე VIII საუკუნე), — ისტორიის და გეოგრაფიის მამად ნოდებუმი; ერასტოფენი — მათემატიკოსი და გეოგრაფი; სტრაბონი — გეოგრაფი (სწავლობდა პონტოს ზღვას; პომპილი მელა — რომელიც გეოგრაფი; არიან ფრავინი — ბერძენი მკვლევარი, რომელმაც შეისწავლა წყლის ქიმიკა, მათ შორის რიონის წყალიც. განსაკუთრებით ინტენსიური კვლევა იწყება მე-17-მე-18 საუკუნე-



ზღვის კატა

ებიდან. შავი ზღვის ბიოლოგიის შესწავლით დაინტერესებულნი იყვნენ ცნობილი მეცნიერები: პალასი, კერლესი, ჩერნიშევსკი, ანდროუსოვი, სავინსკი, ზერნოვი და სხვები. განსაკუთრებული ღვაწლი შავი ზღვის შესწავლაში მიუძღვით უკრაინელებს, სადაც ფუნქციონირებს რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბიოლოგიური სადგური, უნივერსიტეტში სპეციალური მიმართულებები და ა.შ. მაგალითად: სევასტოპოლის ბიოლოგიური სადგური, რომელიც მუშაობს ზღვის კლიმატის, ფლორასა და ფაუნას პრობლემებზე. 1963 წლიდან ფუნქციონირებს ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს შავი ზღვის ბიოლოგიას; ოდესის უნივერსიტეტთან ფუნქციონირებს ბიოლოგიური სადგური, რომელიც იკვლევს ზოობენტოს, ზოოპლაქტონს, ფიტოპლანქტონს და იქთიოფაუნას; ოდესის ბიოლოგიური სადგურის ბაზაზე ფუნქციონირებს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დაკავებულია შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონის შესწავლით. შავი ზღვის თევზჭერის დაზვერვით მეთოდებზე მუშაობს აზოვ-შავი ზღვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

რუმინეთში — კონსტანცას მახლობლად ფუნქციონირებს სასაზღვრო ბიოლოგიური სადგური, რომელიც სწავლობს ზღვის ბენთოსურ ორგანიზმებს და მათ განლაგებას. ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი განლაგებულია ერთიან სათავო — რუმინეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, არის მრავალპროფილიანი, სადაც მოღვაწეობენ ცნობილი სპეციალისტები: სკოლკა, მიულერი, აუტიში, პეტრა და სხვ. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოიცა ხუთტომიანი, სახელწოდებით „ზღვის ეკოლოგია“. 1932 წლიდან ბულგარეთში, სოფლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ზღვის ბიოლოგიური სადგური, ხოლო 1932 წლიდან მინათმოქმედების სამინისტროსთან არსებობს საცდელი ბიოლოგიური სადგური, რომლის თანამშრომლებმაც კვლევით შედეგები 19 ტომად გამოაქვეყნეს. თურქეთში ფუნქციონირებს (სტამბოლში) ოკეანოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს სამრეწველო თევზებს. რუსეთში ფუნქციონირებს რამდენიმე სპეციალუ-



ზღვის კუშაკი

რი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც გეგმაზომი-ერად იკვლევენ შავ ზღვას მთლიანობაში.

ეს მონაცემები მკითხველისათვის შეიძლება გადამლელიც იყოს, მაგრამ მე იმიტომ გაგამახვილე ამ საკითხებზე ყურადღება, რომ შემედარებინა, თუ რა ხდება საქართველოში, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთ ქვეყანაში ამ მიმართულებით. საქართველოში არაა მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბიოლოგიური სადგური, თუ არ გავითვალისწინებთ ბათუმის მონიტორინგის ცენტრს, რომელიც ფუნქციონირებს ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე. მიზერული დაფინანსების გამო აქაც უჭირთ სპეციალისტებს აწარმოონ გრძელვადიანი მონიტორინგი შავ ზღვაზე, ექსპედიციებზე ლაპარაკიც კი უხდებათ. საქართველოს არც ერთ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტში დღეისათვის არ ამზადებენ ჰიდრობიოლოგ-ებს, იქთიოლოგებს, ჰიდროქიმიკოსებს, რამაც საქართველოში შექმნა კადრების დეფიციტი. ერთადერთი სპეციალობა — წყლის ბიორესურსები ეკოლოგიის საფუძვლებით, რომელიც 2006 წლამდე ფუნქციონირებდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან.

შავი ზღვა არის ჩვენი ქვეყნისთვის მეტად სტრატეგიული, საარსებო და სასიცოცხლო არტერია. მისი ბიორესურსები ვერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუყენებელია. ქვეყანას კადრები აკლია. ვფიქრობ, საკითხი საქართველოს მთავრობის დონეზე უნდა იქნეს განხილული და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება არის საჭირო. საქართველოში ერთი სასწავლო დაწესებულება მაინც უნდა ფუნქციონირებდეს, რომელიც შავი ზღვის შესწავლის პრობლემებით იქნება დაკავებული. კარგი იქნება თუ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ სასწავლო პროგრამებში შეიტანენ ჰიდრობიოლოგიის სპეციალობას. ამით შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც გადაწყვედეს კადრების საკითხი.

ვფიქრობთ, ფოტოსა და ბათუმში უნდა აშენდეს თევზის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც



მელუზა

უზრუნველყოფს ქაფშიის, შპროტის, სტავრიდის და ნაწილობრივ კეფალის მიღებას, დამუშავებასა და ბაზარზე გატანას. ამით მოიგებს სახელმწიფოც და მეთევზეებიც.

რაც შეეხება შავი ზღვის სიღრმეში გოგირდწყალბადის დიდი მარაგის არსებობას, უნდა ითქვას, რომ ის ოდითგანვე ქმნიდა პრობლემას შავ ზღვაში სასიცოცხლო ფორმებისათვის და რჩება მთავარ პრობლემად შავი ზღვის ქვეყნებისათვის. ერთხელ უკვე იყო მისი ამოღების მცდელობა, რომელიც წარმატებით დამთავრდა, მაგრამ მას გაგრძელება არ მოჰყოლია, არა და ზღვის ფსკერზე იმდენი მაღალი ხარისხის სანჯავის მარაგი არსებობს, რომ მისი ამოღების შემთხვევაში მთელი ევროპა უზრუნველყოფილი იქნება სანჯავი გაზით მრავალი ათეული წლის განმავლობაში. ვფიქრობთ, ეს საკითხი მარტო საქართველოს კი არა, ყველა იმ ქვეყნის ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომლებიც შავი ზღვის სარგებლობენ.

თეიმურ ბოგაჩაძე, ემერიტუსი პროფესორი

რედაქტორი:
ნიკოლოზ სანიძე
საუბიურო:
ნესტან მამუჭაძე



საბეჭდო-საბეჭდო:
ნანა მახარაძე
ნიკოლოზ სანიძე
ნიკოლოზ სანიძე
მედიის მენეჯერი
დავით ბარათაშვილი
გრაფიკის დიზაინერი
მედიის მენეჯერი

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლო“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7